საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1990 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ. № 139 (685) ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 30 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, 1993 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲣᲞᲝᲜᲘ

ᲓᲐᲣᲕᲘᲬᲧᲐᲠᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ ᲑᲝᲜᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲨᲘ

25 ივნისს პეტერსბურგის სამთავრობო რეზიდენციაში გაიმართა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებათა ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია. ორ მეგობარ ქვეყანას შორის ურთიერთობათა განმსაზღვრელ დოკუმენტებს ხელი მოაწერეს საგარეო საქმეთა მინისტრებმა კლაუს კინკელმა და ალექსანდრე ჩიკვაიძემ.

— ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობის მდიდარი ტრადიციები არსებობს, — თქვა ხელშეკრულებათა გაფორმების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა. — როცა შარშან აღვადგინეთ დიპლომატიური ურთიერთობა, ამით სამართლიანობაც აღდგა. ამ დღეებში ბონში ხელმოწერილი აქტები ნათელყოფენ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ევროპაში. თქვენ, ბატონო შევარდნაძე, გადამწყვეტი როლი შეასრულეთ იმაში, რომ ეს ცვლილებები მშვიდობიანად წარმართულიყო. პირადად თქვენ ბევრი გააკეთეთ გერმანიის გაერთიანებისათვის და ჩვენ ეს ყოველთვის გვემახსოვრება. დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულებებით ვახორციელებთ ჩვენს განცხადებებს ურთიერთდახმარების შესახებ ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების დარგში. თქვენი ქვეყანა რთულ გზას ადგას და ჩვენ შევეცდებით ყველანაირად დავეხმაროთ მის წარმატებით დაძლევაში. დღეიდან ჩვენ ერთობლივად ვიმუშავებთ ჩვენი ხალხების კეთილი მომავლისათვის.

იმავე დღეს გაიმართა „სიმენსის“ სააქციო საზოგადოების მთავარი გამგეობის წევრის ფოლკერ იუნგისა და საქართველოს ვიცე-პრემიერის ზურაბ კერვალიშვილის მიერ „სიმენსის“ სააქციო საზოგადოებასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების ხელმოწერა.

ძალიან მოხარული ვართ, რომ დღეს შევძელით ხელი მოგვეწერა ხელშეკრულებისათვის, რომლითაც დამყარდა კავშირი დროთა შორის, — თქვა ფოლკერ იუნგმა — 130 წლის წინათ ჩვენი ფირმის დამაარსებლებმა გამოგზავნეს საქართველოში ორი წარმომადგენელი, რითაც ჩაეყარა საფუძველი ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ურთიერთობებს. დღეს „სიმენსი“ მსოფლიოში უდიდესი ფირმაა კავშირის, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში, აგრეთვე სამედიცინო მოწყობილობის წარმოებაში. დარწმუნებული ვართ, რომ დღეს ხელმოწერილი ხელშეკრულება მძლავრ ბიძგს მისცემს ჩვენს ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებასა და განვითარებას.

საქართველოს დელეგაცია შეხვდა გერმანიის მრეწველობის აღმოსავლეთის კომიტეტის თავმჯდომარეს ოტო ვოლფ ფონ ამერონგენს. გაიმართა საუბარი ჩვენს ქვეყნებს შორის სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების შესახებ.

შემდეგ საქართველოს ოფიციალური დელეგაცია სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით ბონიდან ბერლინს გაემგზავრა. გერმანიის ყოფილ დედაქალაქში ჩასვლისთანავე მანქანების კოლონა ბრანდენბურგის ჭიშკრისაკენ გაემართა, სადაც სულ ახლახან აღმართული იყო ბეტონის კედელი, რომელიც შუაზე ჰყოფდა ევროპის ამ უძველეს ქალაქს, გერმანიას, ორ სამყაროს. „ცივი ომის“ დროს აქ აღმართული ეს მონოლითი რამდენიმე თაობისათვის იქცა იმის შეუვალ სიმბოლოდ, თუ რაოდენ რეალურია ბირთვული ომის საფრთხე. ბერლინელები, ისევე როგორც მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები, ვერ ეგუებოდნენ ამ ხელოვნურ ბარიერს, რომელიც წინ ეღობებოდა ადამიანთა სწრაფვას თავისუფლებისაკენ, ბედნიერებისაკენ. ამიტომ იქცა ყველა მათგანისათვის უდიდეს მოვლენად ორი სამყაროს გამყოფ ყოფილ ზოლზე იმ ადამიანის გამოჩენა, რომელიც არა მარტო უთანაგრძნობდა მათ ამ მისწრაფებებს, არამედ რეალურად შესძლო დაენგრია კედელი ადამიანთა შორის ეჭვის, გაუცხოების, დაშინების სიმბოლო. ბერლინის კედლის დაცემით გაერთიანდა არა მარტო ეს ქალაქი და გერმანია, არამედ აღმოსავლეთი და დასავლეთი.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა ბერლინის ასეთი კარგი მეგობრის ჩვენს ქალაქში მიღება, — განუცხადა ედუარდ შევარდნაძეს მის პატივსაცემად გამართულ ოფიციალურ დარბაზობაზე ბერლინის ბურგომისტრმა ებერჰარდ დიპგენმა. — თქვენი დამსახურება ჩვენი ქალაქისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე ყოველთვის კეთილ მოგონებად დარჩება ჩვენთვის. ადგილი გერმანული ისტორიის წიგნებში თქვენ უკვე გარანტირებული გაქვთ. თქვენ იმთავითვე მხარი დაუჭირეთ იმ ადამიანების სწრაფვას, ვინც მხარს უჭერდა ერების თვითგამორკვევის უფლებას და აქედან გამომდინარე გერმანიის ერთიანობას. ამისათვის მადლობას გიხდით.

გერმანიის გაერთიანებამ თქვენ მიერ გაწეული კეთილი სამსახურის წყალობით სწრაფად და მშვიდობიანად ჩაიარა. მაგრამ გაერთიანება უფრო პროცესია, ვიდრე მოვლენა, ჩვენ ვგრძნობთ, თუ რა ძნელია 40 წლის განმავლობაში გახლეჩილი ორი სამყაროს გაერთიანება, მაგრამ ყველაფერს ერთად თუ ავიღებთ, წინსვლა მუდმივად ხდება.

იმ დროს, როდესაც გერმანელები თავისი თვითგამორკვევის უფლებას ძალით გახლეჩილი ორი სამყაროს გასაერთიანებლად იყენებდნენ, ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხები ამ თვითგამორკვევის უფლებამ ძალადობით აშენებული იმპერიის დაშლამდე მიიყვანა. თქვენი ქვეყანა, პატივცემულო ბატონო შევარდნაძე, დამოუკიდებლობის გზას დაადგა და იბრძვის დემოკრატიისათვის, საბაზრო ეკონომიკისა და სხვადასხვა ეროვნული უმცირესობების ერთობლივი ცხოვრებისათვის. ჩვენი ღრმა რწმენა საქართველოს მშვიდობიანი და ბედნიერი მომავლისა, უპირველეს ყოვლისა, თქვენს პიროვნებასთანაცაა დაკავშირებული, თქვენს გამოცდილებასთან, თქვენი მოქმედებისა და მსხვერპლის გაღების მზადყოფნასთან.

აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ნაწილში 1989 წლის იმედები დაიმსხვრა. ბოსნიასა და ყოფილი საბჭოთა კავშირ-

ის სხვადასხვა ნაწილში ხალხებს, რელიგიებსა და პარტიებს შორის სამოქალაქო ომები ან შეიარაღებული ბრძოლები მძვინვარებენ. ხშირად საამისო მიზეზის პოვნაც კი ძნელია. ძალადობა, წერს ერთი გერმანელი მწერალი, ყველა იდეოლოგიური საფუძვლისაგან გათავისუფლდა.

გერმანია არ დაივიწყებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და საკუთარი პრობლემების მიუხედავად საქართველოსაც მხარში ამოუდგება დახმარებისათვის. ჩვენ არა მხოლოდ მადლობის ვალის გადახდა გვინდა თქვენს წინაშე, ბატონო შევარდნაძე, არამედ ჩვენს ქვეყნებს შორის ძველი მეგობრობის განმტკიცებაც.

ჩვენი დამოკიდებულება ხომ ტრადიციულად ნდობითაა აღსავსე. პირველი მსოფლიო ომის შემდგომ წლებში გერმანიამ საქართველოს ინტერესები დაიცვა, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო იყო. ქართველმა წაართვა გერმანელებს თვითგამორკვევის უფლება და ერთიანობა და ქართველმავე შეუწყო ხელი იმას, რომ გერმანელებს ორივე დაებრუნებინათ.

ჩვენი ქვეყნების დამოკიდებულება ფართო და მყარ ფუნდამენტზეა დაფუძნებული. ტრადიციული კავშირების თანახმად ჩვენ გვსურს მომავალში ჩვენი მეგობრობის განვითარება ორივე მხარის სასარგებლოდ.

გერმანიისა და ბერლინის ორი ნაწილის გაერთიანება მრავალი თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ როგორც ევროპული ინტეგრაციის მოდელი. აქაური სიძნელეები და გადაწყვეტილებები ბიძგის მიმცემნი არიან სხვა ევროპული სახელმწიფოებისთვის, რომლებიც გარდატეხის გზაზე იმყოფებიან. დიდი ინტერესი გამოიწვია ბერლინის სამეურვეო ორგანიზაციის გამოცდილებამ საწარმოების პრივატიზირების საქმეში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აუცილებლად გაამართლებს თავის გაზრდილ საერთაშორისო პასუხისმგებლობას. „ერთი სამყაროს“ თვითშეგნებით თანასწორუფლებიანი პარტნიორობა უნდა დავამყაროთ მსოფლიოს ქვეყნებსა და ხალხებს შორის და ხელი შევუწყოთ ღარიბსა და მდიდარს შორის დამოკიდებულებაში არსებული უსამართლობის აღმოფხვრას.

დაე, ყვაოდეს საქართველო და გერმანია. დაე, ჩვენი მეგობრობა მომავალშიც შედეგიანი იყოს.

ედუარდ შევარდნაძემ გააკეთა ჩანაწერი „ბერლინის ოქროს წიგნში“, რის შემდეგ წარმოთქვა საპასუხო სიტყვა:

ღრმად პატივცემულო ბატონო ობერ-ბურგომისტრო, ქალბატონებო და ბატონებო.

გულითადი მადლობა მინდა მოგახსენოთ ასეთი გულთბილი მიღებისათვის, ჭეშმარიტად ბერლინური სტუმართმოყვარეობისათვის. ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა სიტყვებმა ბატონო დიპგენ, აგრეთვე „ბერლინის ოქროს წიგნში“ ჩაწერის საზეიმო ცერემონიამ. შევეცდები, გიპასუხოთ ისეთივე გულწრფელობით, როგორითაც თქვენ დახვდით ჩვენს დელეგაციას.

დღეს, ბერლინის მიწაზე ფეხი რომ დავდგით, ძლიერი განცდა დამეუფლა. ჩვენ გავიარეთ ბრანდენბურგის ჭიშკარი და გამშვები პუნქტი „ჩარლი“ — ორი უმნიშვნელო წერტილი გერმანიისა და მისი დედაქალაქის რუკაზე, რომლებმაც უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავეს ჩემს ცხოვრებაშიც. თავის დროზე ბედმა ინება და ჩემს კოლეგებთან 2 პლუს 4 პროცესის მონაწილეებთან ერთად დავესწარი ბერლინის ორ ნაწილად გამყოფი ბარიერის გაუქმებას, მის, ასე ვთქვათ, ფიზიკურ და სამართლებრივ გამთლიანებას. ზეიმობდნენ ბერლინელები, მათთან ერთად მთელი მსოფლიო და ჩემი სიხარულიც ერწყმოდა ამ საყოველთაო სიხარულს.

ხალხების ნებამ და სიმტკიცემ დაანგრია გერმანიისა და ევროპის გაერთიანების გზაზე აღმართული კედელი და არ შემიძლია არ ვუმადლოდე ბედს, რომ შესაძლებლობა მომეცა მცირედი წვლილი მეც შემეტანა ამ დიდ საქმეში.

მაგრამ შემდგომ ჩემი ცხოვრება ისე აეწყო, რომ მხოლოდ დღეს, დიდი ხნის მერე მას შემდეგ, მოვხვდი იმ ადგილას, სადაც ერთ დროს გახლეჩის ხაზი გადიოდა. ეს შესაძლებლობა ბერლინელების წყალობით მომეცა.

ბერლინის მოქალაქეთა ომისშემდგომმა რამდენიმე თაობამ ჩამოაყალიბა უნიკალური მოქალაქეობრივი, ისტორიულ-პოლიტიკური, სულიერი და ზნეობრივი კომპლექსი, რომელსაც მე ბერლინის გაკვეთილებს ვუწოდებდი.

ეს არის ბოროტების დაძლევის, თვითგაწმენდის გაკვეთილები. ტირანთა ბოროტ ნებას ძალუძს რაღაცა ხნით ქალაქი ჯოჯოხეთის სიმბოლოდ აქციოს, მაგრამ იგი უძლურია კეთილი ადამიანების მტკიცე სურვილის წინაშე, არ დაუშვან, რომ მათი სახლი მუდამ ბოროტებასთან ასოცირებდეს.

ეს არის ვაჟკაცობის გაკვეთილები, რომლებიც გერმანიისა და მისი დედაქალაქის ბევრმა გამოჩენილმა ადამიანმა გვაჩვენა. მათ შეძლეს დაემტკიცებინათ მსოფლიოსათვის თავიანთი ხალხის კეთილი ნება და დაგვანახეს, რომ დანაშაულს გამოისყიდი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავს გადადებ თავისუფლების საქმისათვის.

სამარცხვინოა იცხოვრო დაჩოქილმა, მაგრამ არ უნდა შეგრცხვეს მუხლი მოიყარო უწმინდური ძალის უდანაშაულო მსხვერპლთა ხსოვნის წინაშე.

ეს არის გაკვეთილები მათთვის, ვინც ნაციონალისტური ლოზუნგებით და ნაცისტური მოწოდებებით იწყებს და ბუნკერებით ამთავრებს.

ჩაგვრისა და ძალმომრეობის ვერც ერთი, ყველაზე დახვეწილი სისტემაც კი, ვერ მოერევა ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისა და ერთიანობისაკენ.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ბერლინის კედლის ნგრევას წინ უძღოდა მათი ქალაქისა და ქვეყნის გახლეჩის წინააღმდეგ ბერლინელების მრავალრიცხოვანი გამოსვლები და მათდამი სოლიდარობის გამომხატველი მოძრაობები.

ვიმყოფებით რა აქ, ჩვენ პატივს მივაგებთ ათასობით და მილიონობით მებრძოლთა ხსოვნას, რომლებმაც თავი შესწირეს ფაშიზმთან ბრძოლას. ბერლინის მიწამ მიიბარა რუსი, უკრაინელი, ბელორუსი, ქართველი და სხვა ხალხების გმირი შვილები, რომლებიც იბრძოდნენ თავიანთი ქვეყნისა და მსოფლიოს ბედნიერი მომავლის, ე. ი. გერმანიის ბედნიერი მომავლისთვისაც. ბერლინელები უვლიან მათ საფლავებს, ესეც გაკვეთილია — ადამიანობის გაკვეთილი.

ბერლინის გაკვეთილები, მინდა მჯეროდეს, კარგად შეისწავლა მსოფლიომ. მაგრამ, საუბედუროდ, სინამდვილე საპირისპირო ხასიათის მაგალითებით არის სავსე. უხილავი კედლები ძველებურად ყოფს ქვეყნებსა და ხალხებს, თავი წამოყო აგრესიულმა ნაციონალიზმმა, რომელიც ძმათამკვლელი ომების, ეროვნებათაშორისი შუღლისა და განხეთქილების იდეოლოგიურ პლაცდარმებს ქმნის. ტოტალიტარიზმი ცდილობს დაიბრუნოს დაკარგული სივრცე — და კვლავ იღვრება სისხლი.

ბევრი ამ უბედურებათაგანი ჩემს სამშობლოსაც დაატყდა თავს.

ჩვენ აქ მხარდაჭერისა და სოლიდარობისათვის მოვედით და მივიღეთ კიდეც, გაგვამხნევეს, დაგვაიმედეს, ჩვენი აურაცხელი სიძნელეების ფონზე ბერლინის მაგალითებმა ხორცი შეისხეს და კიდევ უფრო ხელშესახები გახდნენ. სანამ ასეთი მაგალითი არსებობს — არსებობს იმედიც, სანამ არის იმედი — არის მტკიცე სურვილიც იბრძოლო და გაიმარჯვო.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ. ბერლინს მინდა ვუსურვო აყვავება, ყოველ ბერლინელს კი — მშვიდობა, კეთილდღეობა და სიხარული.

ᲘᲛᲐᲕᲔ დღეს, ბერლინში, ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ, ქართული დელეგაციის წევრები ბერლინის ქართული საზოგადოების მიწვევით შეხვდნენ ლაიფციგის ქართული სახლის წევრებს.

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ.

●

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ (ზემოდან): ედუარდ შევარდნაძე და კანცლერი ჰელმუტ კოლი ერთობლივი განცხადების ხელმოწერის დროს; ბერლინის ობერბურგომისტრთან ვიზიტის დროს; აქ იდგა ცნობილი ბერლინის კედელი.

ᲜᲣᲮᲔᲚ ᲨᲔᲕᲘᲢᲧᲕᲔᲗ

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲓᲐᲜ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ განლაგებული საქართველოს შეიარაღებული ძალების პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 28 ივნისს მთელი დღე-ღამის განმავლობაში ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული, აქტიური საბრძოლო მოქმედება არ ყოფილა. შეიმჩნეოდა მხოლოდ პოზიციური ხასიათის ბრძოლები, რომლებსაც რაიმე გართულებები არ მოჰყოლია.

მართალია, უკვე რამდენიმე დღეა მოწინააღმდეგის მიერ ქ. სოხუმის ინტენსიური დაბომბვა არ ხდება, შედარებით სიმშვიდე იგრძნობა, მაგრამ მოსახლეობა აღშფოთებულია და სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამს, რომ ქალაქში პური არ ცხვება და მაღაზიებში საკმაოდ დიდი ხანია არ იყიდება. მუშაობს მხოლოდ ერთი პურის ქარხანა, ისიც არასრული დატვირთვით და აცხობს მცირე რაოდენობით მხოლოდ სამხედრო ნაწილებისათვის.

[illegible]

ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ ᲣᲮᲓᲘᲐᲜ

ᲒᲐᲔᲠᲝᲡ გენერალურ მდივანს ბატონ ბუტროს ბუტროს გალის და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს ბატონ ბილ კლინტონს დეპეშა გაუგზავნეს აფხაზეთის ხსნის კომიტეტმა და უხუცესთა საბჭომ, რომელშიც ნათქვამია:

ქალაქ სოხუმისა და მთელი აფხაზეთის მადლიერი მცხოვრებნი მადლობას გიხდით ხალხის — ბავშვების, ქალებისა და მოხუცების გადასარჩენად გამოჩენილი ძალისხმევისათვის. ამავე დროს გთხოვთ დააჩქაროთ სამშვიდობო ძალების გამოგზავნა, რომელთა გარეშე მორიგი საომარი მოქმედების განახლების საფრთხე იქმნება.

მათ დეპეშა გაუგზავნეს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრია კოზირევს.

ქალაქ სოხუმის საზოგადოებრიობა მადლობას გიხდით ათასობით ადამიანის — ქალების, ბავშვებისა და მოხუცების გადასარჩენად გამოჩენილი ძალისხმევისათვის.

ამავე დროს გთხოვთ დააჩქაროთ მეთვალყურეთა გამოგზავნა, რომელთა გარეშე საარტილერიო ცეცხლის დაშენისა და საომარი მოქმედებების განახლების საფრთხე იქმნება.

• • •

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. გაძარცვეს „საქხილბოსტნეულის“ გაერთიანების ადმინისტრაციული შენობა. უცნობი პირები შენობას ღამით მიადგნენ სატვირთო ავტომანქანით, შემტვრიეს კარი, ოთახებიდან გამოიტანეს მაცივრები, ტელევიზორები, ავეჯი, საბეჭდი მანქანები, ყველაფერი, თვით სათესლე მასალაც კი. მიმდინარეობს გამოძიება.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. საქართველოს პარლამენტის შენობის წინ შიმშილობა დაიწყეს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა. ისინი უნივერსიტეტის რექტორის რამაზ ხეცურიანისაგან მოითხოვენ მათი პედაგოგის, ჰისტოლოგიისა და ზოგადი ემბრიოლოგიის კათედრის გამგის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მარინე ფირცხალავას მიმართ სამართლიანობის აღდგენას. სტუდენტები რექტორს ბრალად სდებენ ქალბატონ მარინე ფირცხალავას დევნა-შევიწროებას.

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ

ᲒᲕᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“
ᲓᲐ ᲡᲐᲥᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲡ
ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ

ᲤᲐᲥᲢᲘ
ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ
ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ

◉ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲢᲕᲘᲠᲗᲘᲗ 2

◉ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲪ ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲘᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲖᲠᲘᲐ 3

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔᲛ ᲛᲘᲘᲚᲝ ᲤᲘᲤᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲔᲤᲐᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐ

28 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ფეხბურთელთა ასოციაციების კავშირის ექსპერტთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს უეფას სპორტულ ნაგებობათა კომიტეტის თავმჯდომარე შოტლანდიელი ერნი უოკერი. დელეგაცია ჩამოვიდა საქართველოს ფეხბურთში საქმის ვითარების, რესპუბლიკის სტადიონების მდგომარეობის, აგრეთვე ევროპის თასებზე მატჩების მოწყობისას უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხის შესასწავლად.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ თუმცა საქართველოში სტაბილურობაზე ლაპარაკი ჯერჯერობით ადრეა, არავითარი ეჭვი არ არის, რომ თბილისსა და ბათუმში უზრუნველყოფილი იქნება სრული უსაფრთხოება მატჩების დროს.

დელეგაციის წევრებმა შესთავაზეს ევროტურნირებში ქართული გუნდების თანდათანობით ინტეგრირების ვარიანტი. თავდაპირველად ერთ-ერთ მათგანში მონაწილეობას მიიღებს ერთი კოლექტივი — თბილისის „დინამო“. მომდევნო წელს ორი გუნდი გამოვა ორ გათამაშებაში, შემდეგ კი საქართველო უკვე წარმოდგენილი იქნება ევროთასებზე სრული მოცულობით. მაგრამ ამას არ ეთანხმება საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. საქართველოს მხარის პოზიციას, განაცხადა ერნი უოკერმა, ვაცნობებთ უეფას ხელმძღვანელობას, ევროტურნირებში მონაწილეობისათვის გუნდების დაშვების საკითხი კი გადაწყდება 1 ივლისს უეფას აღმასკომის სხდომაზე.

ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲐ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲗᲔᲝᲓᲝᲠ ᲡᲢᲐᲠᲩᲔᲕᲘᲩᲡ

ᲒᲗᲮᲝᲕᲗ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲝᲗ: ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲑᲣᲢᲠᲝᲡ ᲑᲣᲢᲠᲝᲡ ᲒᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲛᲐᲠᲐᲥ ᲒᲣᲚᲓᲘᲜᲒᲡ ᲒᲐᲔᲠᲝᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲘᲕᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲑᲠᲣᲜᲔᲠᲡ

ᲫᲐᲚᲖᲔ ვწუხვარ, რომ ისევ მიხდება პირადად თქვენი შეწუხება. თქვენმა ამასწინანდელმა პასუხმა ჩვენს წერილზე გაგვამხნევა და მოგვცა იმედი იმისა, რომ შესაძლებელი გახდებოდა უმოკლეს ვადებში აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტა. ჩვენ ამ იმედით განვაგრძეთ მოლაპარაკება მოსკოვში დაპირისპირებულ მხარესთან რუსეთის შუამავლობით.

უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა მოთხოვნა, რომელიც კი წამოყენებულ იქნა გუდაუთის წარმომადგენელთა მხრივ, ჩვენ მივიღეთ ერთადერთი მიზნით — შეგვეწყვიტა ცეცხლი და გადაგვერჩინა ადამიანები. მიუხედავად იმისა, რომ როგორც ჩვენი, ასევე რუსეთის მხარე მზად იყო ხელის მოსაწერად შეთანხმებაზე, რომელიც ითვალისწინებდა ცეცხლის შეწყვეტისადმი კონტროლის მექანიზმის შექმნას, გუდაუთის მხარემ არ ისურვა ხელმოწერა, ჩვენ მათზე გავლენა ვერ მოვახდინეთ, პირიქით. უკანასკნელი დღეების განმავლობაში ჰუმანური აქციის ჩატარების შემდეგ და მას მერე, რაც გამოყვანილ იქნა რუსულენოვანი მოსახლეობა კონფლიქტის ზონიდან, გამუდმებით იბომბებოდა სოხუმი. მარტო დღეს 12 ადამიანი დაიღუპა, ათობით კაცი დაიჭრა, სოხუმის დაბომბვა გრძელდება, ჩვენი იმედი დღეს საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და გაეროს შესაძლებლობების აქტიური ამოქმედებაა. კიდევ ერთხელ გვინდა დაგარწმუნოთ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესები იმდაგვარად ვითარდება, შესაძლებელია ვითარება უმართავი გახდეს, რასაც აუცილებლად მოჰყვება საერთო კავკასიური ომი, დესტაბილიზაცია შავი ზღვის აუზისა და აზიის ქვეყნებში.

ვდგავართ რა უდიდესი საშიშროების წინაშე, კიდევ ერთხელ გთხოვთ, სანამ უშიშროების საბჭო განიხილავდეს საკითხს საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ, მოავლინოთ გაეროს სამხედრო მეთვალყურეები, რომლებიც მცირე ხნით მაინც შეძლებენ შეაჩერონ ეს ბარბაროსული სისხლისღვრა და სოხუმის ნგრევა.

იმედით და ულრმესი პატივისცემით.

Ვ. ᲒᲝᲒᲡᲐᲫᲔ,

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

1993 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ.

ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ რესპუბლიკის ვიცე-პრემიერმა ზურაბ კერვალიშვილმა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დელეგაცია.

ვიცე-პრემიერმა სტუმრებს უამბო ფოთის პორტის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ, სადაც უკვე მუშაობენ მსოფლიოში ცნობილი 12 საზღვარგარეთული ფირმის წარმომადგენლები, მათ შორის სპეციალისტები ამერიკიდან, თურქეთიდან, გერმანიიდან და იტალიიდან.

სტუმრები დიდი ინტერესით გაეცნენ ევროპა-აზიის სატრანსპორტო მაგისტრალის პროექტს, რომლის დეტალები უკვე გარჩეულია, კერძოდ, ტრასისა შანხაიდან-როტერდამამდე.

ვიცე-პრემიერმა აღნიშნა, რომ გერმანიაში სახელმწიფოს მეთაურის ვიზიტის დროს დაიდო ხელშეკრულება ისეთ ცნობილ ფირმასთან, როგორიცაა „სიმენსი“, რომელმაც ითავა ტელეკომუნიკაციებისა და აეროპორტის მშენებლობის საკითხი, სხვადასხვა პროექტებისათვის გამოიყო 500 მილიონი დოლარი კრედიტის სახით.

სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ მას შემდეგ, როცა ისინი შეისწავლიან საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებსა და პრობლემებს, ჩამოყალიბდეს სამუშაო ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების გლობალური პროგრამის შემუშავებაში. დელეგაციის წევრები ეწვევიან ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სამინისტროებს.

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

27 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ავსტრიიდან დაბრუნდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაცია, რომელიც მონაწილეობდა ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით გამართულ ვენის საერთაშორისო კონფერენციაში.

ვიზიტის მსვლელობისას საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი, ვიცე-პრემიერი რომან გოცირიძე შეხვდა და ესაუბრა ავსტრიის რესპუბლიკის ვიცე-კანცლერს ბუსეკს და ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრს მოკს, რომელიც თავმჯდომარეობდა მიმდინარე კონფერენციას.

შეხვედრაზე განხილული საკითხებიდან ძირითადი იყო საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციისა და აფხაზეთის კონფლიქტის დაძლევის შესაძლო გზები. ბატონმა რომან გოცირიძემ თხოვნით მიმართა ავსტრიის ხელმძღვანელებს დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში და პოლიტიკური ზემოქმედება მოახდინონ აფხაზეთის კონფლიქტის მონაწილეებზე მისი მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მიზნით.

—ავსტრიის მხარემ ბატონ რომან გოცირიძეს აღუთქვა, რომ მათი ქვეყანა შეძლებისდაგვარად დაეხმარება საქართველოს კრიზისული ვითარებიდან თავის დაღწევაში.

„ერთობა და კეთილდღეობა" ძალას იკრებს

სამოქალაქო მოძრაობა „ერთობა და აღორძინების" შტაბში, რომელიც თბილისის კონსერვატორიაში განლაგებული, უწყვეტლივ მოდიან ცალკეული მოქალაქეები, საწარმო-დაწესებულებების, სამინისტროების წარმომადგენლები, რომლებსაც გადაწყვეტილი აქვთ აქტიურად ჩაებან ამ ახალ მოძრაობაში, რომელიც მიზნად ისახავს ჩვენი ხალხის გაერთიანებას და საქართველოს აღორძინებას.

ამ დღეებში მოძრაობის შტაბში მოვიდნენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს წარმომადგენლები, რომლებმაც აქ მოიტანეს მთელი სამინისტროს კოლექტივის, სამინისტროს დაქვემდებარებული სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის საწარმოთა კოლექტივების გადაწყვეტილება მხარი აუბან ამ მოძრაობას და ყოველდღიური პრაქტიკული საქმით ხელი შეუწყონ საქართველოს ეკონომიკას, მისი სოფლის მეურნეობის აღდგენა-განახლებას.

ჩვენ გავესაუბრეთ „საქაგროინპექსის" გენერალურ დირექტორს ბატონ კიტა შავიშვილს: — ცნობამ ახალი სამოქალაქო მოძრაობის ალმოცენების შესახებ, — აღნიშნა ბატონმა კიტამ, — დიდი გამოძახილი ჰპოვა არა მარტო დედაქალაქში, მთელ საქართველოში. ცხადია, დღეს, როცა ასე უჭირს ჩვენს ქვეყანას, როდესაც ჯერ ვერა და ვერ გადაგვიწყვეტია რესპუბლიკის უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანის მთელი რიგი პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემები, როცა ასეთი საერთო გაჭირვება მეტად მძიმე მდგომარეობაში აყენებს ჩვენს მოსახლეობას, უნდა ყველანი ერთად ავდგეთ და ჩვენი ერთიანობით, ყოველდღიური კონკრეტული საქმით წინ აღვუდგეთ იმ დესტრუქციულ ძალებს, რომელთაც სურთ კიდევ უფრო მეტად დაძაბონ სიტუაცია და ეს დაძაბულობა გამოიყენონ საქართველოში მორიგი დესტაბილიზაციის ტალღის ასაგორებლად.

როგორც იცით, სამინისტროს შემუშავებული აქვს ჩვენი სოფლის მეურნეობის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა, რომლის განხორციელებაც უკვე დაწყებულია, მზადდება საინტერესო პროექტები, რომლებიც ითვალისწინებს ჩვენი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის ცალკეულ დარგებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, დარგების გადაიარაღებას, ერთობლივი საწარმოების შექმნას. ამას ყველაფერს, ცხადია სიმშვიდე, წესრიგი და, რაც მთავარია, ჩვენი ერის საყოველთაო ზრუნვა, ერთობა და ყოველდღიური შრომა სჭირდება.

დღეს აღარ არის ლიტონი სიტყვებისა და დაპირებების დრო, რადგან თითოეული ჩვენგანი ყოველდღიურად გრძნობს იმ მოახლოებულ კატასტროფას, რომელსაც, თუ შრომა და ერთობა არ დავუპირისპირეთ, თავს ვერ დავაღწევთ.

ამიტომაც იყო, რომ სამინისტროს ბოლო გაერთიანებულ თათბირზე მისმა მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სამოქალაქო მოძრაობის — „ერთობა და კეთილდღეობას" მოწოდებას ქართველი ხალხისადმი, გადაწყვიტეს ჩაებან ამ მოძრაობაში და ყოველდღიური პრაქტიკული საქმეებით ხელი შეუწყონ ჩვენი მამულის აღორძინებას, ისეთი საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, რომელიც შესაძლებლობას შეუქმნის ჩვენს ხელისუფლებას, კერძოდ, სახელმწიფოს მეთაურს, განახორციელოს რადიკალური ღონისძიებანი ქვეყნის კრიზისიდან გამოსაყვანად.

ჩვენს ამოცანას იმაში ვხედავთ, რომ ამ მოძრაობის ნათელი მიზანი და მისწრაფება გაითავისოს ჩვენი სისტემის ყველა მუშაკმა, თითოეული სოფლის მცხოვრებმა, რადგან დღეს სოფელზე, მის ძალისხმევაზე ძალზე ბევრია დამოკიდებული, რადგან ჩვენს წინაშე მდგომი პრობლემების უმთავრესი ნაწილი, სწორედ სოფლის მეურნეობაზე მოდის.

გათავისება კი დღეს იმით უნდა გამოიხატოს, რომ აღვადგინოთ, კვლავ ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ ჩვენივე სიბეცითა და სიხარბით დანგრეულ-დატაცებული ეკონომიკა. ამასთან აღვადგინოთ სული და ზნეობა, ის სულიერი ღირებულებანი, რომლებიც ესოდენ სჭირდება ახალი დემოკრატიული სახელმწიფოს შენებასა და დაფუძნებას.

დღეს ჩვენი შველა მხოლოდ შრომასა და თანადგომაშია, თუ ეს ვერ მოვახერხეთ, მაშინ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ კიდევ უფრო გაპარტახდება ჩვენი მამული, კიდევ უფრო აღზევდება ძარცვა-გლეჯა, კაცისკვლა, დაპირისპირება, რამაც შესაძლოა სამოქალაქო ომამდეც მიგვიყვანოს.

ასე რომ, დღეს ყველას დაფიქრება, საღად განსჯა და გაერთიანება გვმართებს იმისათვის, რომ მხარში დავუდგეთ საქართველოს, ავაღორძინოთ ჩვენი მამული.

გია ჭელიძე.

მხარს ვუჭერთ ახალ სამოქალაქო მოძრაობას

თქვენთან ვარ!..

დიდი სიხარულით მივესალმები უთუოდ ყოველგვარ საზოგადოებრივ წამოწყებას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოში ასე ნანატრ მშვიდობიან და დემოკრატიულ აღმშენებლობას. მთელი ჩემი არსებით მხარს ვუჭერ საქართველოს მოქალაქეთა მოძრაობის „ერთობა და კეთილდღეობის" დაფუძნებას, რადგან იმედი მაქვს, იგი შეძლებს დასახული კეთილშობილური ამოცანის წარმატებით შესრულებას. ჩემის მხრივ, ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ მცირე წვლილი მაინც შევიტანო ჩემი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ამ საშურ საქმეში. მეტად პერსპექტიულად მესახება თბილისში მუდმივმოქმედი საერთაშორისო სტუდია-სახელოსნოს დაარსება, სადაც შევეცდებოდი პედაგოგიური და საშემსრულებლო ხელოვნების სრულყოფის ორგანიზებას.

ელისო ვირსალაძე.

ჰქონდეთ ჩვენი იმედი!

ჩვენ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, დიდი კმაყოფილებით შევხვდით ცნობას სამოქალაქო მოძრაობის „ერთობა და კეთილდღეობის" შექმნის შესახებ. მადლობა ღმერთს, გაჩნდა საზოგადოება, რომელსაც პოლიტიკური მიზნები არა აქვს. გვჯერა, რომ იგი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი საზოგადოების გამთლიანების საქმეში. ჰქონდეთ ჩვენი თანადგომის იმედი.

არჩილ გოგია, გივი ოგსარაშვილი, ლევან ანთაძე, ოთარ ჯანჯღავა და სხვები.

ყოველი და ყველა

მას შემდეგ, რაც ფსევდოპატრიოტული შეძახილებითა და ეროვნული დროშის თვითმიზნური ფრიალით იმდენი „ვიმოძრავეთ", რომ სამშობლო ლამის თავზე ჩამოგვემხო, სიტყვა „მოძრაობაც" თითქოს გაუფასურდა და ერთგვარ ალერგენად გვიქცა. „დაუმორჩილებლობის" სახელით მონათლული მავნებლობითა თუ ბუნებრივი ეკონომიკური სიძნელეების შედეგად ქვეყანა ერთხანს სასოწარკვეთილებამ მოიცვა.

მაგრამ საზოგადოებრივი აზრი არ თვლემდა, გამოსავლის ძიებაში თანდათან მწიფდებოდა და ძალას იკრებდა. გადარჩენის ლოგიკას თავისი სიტყვა უნდა ეთქვა. და აი, შენების წყურვილმა, ბოლოს და ბოლოს, სძლია ნგრევის ინერციას. ეგეც თანდათან გზას უთმობს რწმენას. ამის საწინდარია ერის ინტელექტუალურ ძალთა მისწრაფება კონსოლიდაციისადმი. შეიმჩნევა აშკარა ტენდენცია პიროვნებათა საზოგადოებად (და არა ბრბოდ) ჩამოყალიბება-გაერთიანებისა (საზოგადოება აშენებს, ბრბო ანგრევს).

ფორმულა „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის" თავისებური სახეცვლილებით განსახიერდა ქართულ ენაში, რომელმაც ერთი და იმავე ფუძით გამოხატა ინდივიდიცა და ინდივიდთა ერთობაც — ყოველი და ყველა. ახლად დაფუძნებული მოძრაობის არსიც სწორედ ასე გვესახება: საზოგადოების კეთილდღეობა ემყარება პიროვნების კეთილდღეობას; პიროვნული წვლილი საზოგადოების შენაძენია.

ახლა ყველაფერი ჰარმონიულ გარჯაზეა დამოკიდებული. „ერთობისა და კეთილდღეობის" სიცოცხლისუნარიანობის გარანტი მისივე სამოქმედო პრინციპების სასიცოცხლო მნიშვნელობაა.

გურამ თოფურია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

შუქია აფრიდონიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ვიღაცა უსინდისოდ იქცევა

ნუ ვაქცევთ ცხოვრებას ჯოჯოხეთად!..

ყველას ეგონა, რომ პურის გაძვირება რიგებს თუ არ მოსპობდა, შეამცირებდა მაინც. ასე ფიქრობდა სხვათა შორის მთავრობაც, მაგრამ ანგარიშში მოტყუვდა — ფასის მომატებასთან ერთად რიგებმაც მოიმატა.

არ გამართლდა პროგნოზი — თითქოს ხალხი გაძვირებამდე პურს აგროვებდა და დეფიციტური სამომხმარებლო კალათის შევსებას ამით აპირებდა. არც ბაზრის პროგნოზი აღმოჩნდა მთლად სწორი — ვითომც მეპურეები ნაკლებს აცხობდნენ და მეტს აფორმებდნენ, რათა შემდეგ ფასთა სხვაობით მიღებული დივიდენდით გაეზარდათ საკუთარი შემოსავლები. ყოველ შემთხვევაში სტაბილური პურის რიგები (სამწუხაროდ, სხვა ვერაფერში მივაღწიეთ სტაბილურობას) არც პირველი დასკვნის საფუძველს იძლევა და არც მეორისას.

ამის მიუხედავად, გარკვეულ ინსტანციებში გარკვეული დასკვნები მაინც გამოიტანეს და გამოსავალიც მოძებნეს — მაღაზიებში ახლა ერთ კაცს ადრინდელი ოთხის ნაცვლად მხოლოდ სამ პურს აძლევენ. ამ მეთოდმა თუ ნაწილობრივ მაინც გაამართლა, სავარაუდოა, რომ მომავალში ამ რაოდენობას ჯერ ორამდე, ხოლო შემდეგ ერთ პურამდე შეამცირებენ; ეს პრაქტიკულად შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ ოჯახის ყველა წევრი პურის რიგში დასაქმდეს და ხელფასიც სამუშაო ადგილიდან კი არა, აქ შედგენილი „ტაბელის" მიხედვით მიიღონ.

ეს ზოგს შეიძლება გადაჭარბებულად მოეჩვენოს, მაგრამ აქეთკენ რომ მივდივართ, ამას ვერავინ უარყოფს. რა დასამალია, გაწამდა ხალხი. ზოგი მთელ ღამეს ათევს (ორ-სამ საათზე იკავებს რიგს), რათა ოჯახი, პატარები უპუროდ (სხვა აღარაფერია) არ დაურჩეს.

და მაინც შეხვდებით დამშეულებს.

ამას წინათ მეტროს ვაგონში 14-15 წლის ბიჭი წაიქცა. ფეხი კი არავისთვის წამოუკრავს, ისე, ფერი დაკარგა, მუხლებში ჩაიკეცა და დავარდა. ხალხი შეშფოთდა, მიეხმარა. ვიღაც ქალბატონმა ჩანთა გახსნა და შვილიშვილისთვის ნაყიდი ერთადერთი ფუნთუშა გამოიღო. ბიჭმა ფუნთუშა ქალს ხელიდან გამოგლიჯა და ხარბად ჩაკბიჩა. უი, შვილო, მშიერი ყოფილხარო, ამოიგმინა ვიღაც ქალმა და პური გაუწოდა. ბიჭმა უარი თქვა, დარცხვენილმა შეხედა ქალს და გაჩერებაზე გაუჩინარდა.

რას იზამ, ასე სცოდნია ომს, არეულობას, ქაოსს, გაუსაძლის გასაჭირს, რომელსაც ხალხი საკუთარი ზურგით მიათრევს. და ამ დროს ვიღაცა, იმის მაგივრად, რომ გვერდით მიმავალ შეჭირვებულს ხელი შეაშველოს, ძალიან რბილად რომ ვთქვათ, უსინდისოდ იქცევა...

... მავანმა და მავანმა ფქვილი ტომრებით გაყიდა და რიგში მდგომებს გამომცხვარი პური მოაკლო — მოვისმინე ამას წინათ ტელევიზორით. დავინტერესდი. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოში ასეთი ინფორმაცია მომცეს:

21 ივნისს თბილისის № 6 საცხობის გამგემ იური ბოჭორიშვილმა თურმე ღამით და მალვით კი არა, დღისით-მზისით გაყიდა ერთი ტომარა (70 კილოგრამი) ხორბლის ფქვილი, რაშიც 15 ათასი კუპონი აიღო. მისმა მეზობელმა № 4 საცხობის მიმღებ-ჩამბარებელმა გივი ხაჩიძემ იმავე დღეს იმავე წონის ტომარაში მუშტარს 8 ათასი კუპონი გადაახდევინა. რატომ ასე იაფი, არავინ უწყის (როგორც ჩანს ყველას თავისი მუშაობის სტილი აქვს).

ერთი კი ფაქტია. მათ არ დაუტაციათ სახელმწიფო ქონება (საწყობში არსებული ფქვილიდან გამოსაცხობი პურის სარეალიზაციო თანხას ყოველთვის პატიოსნად აბარებდნენ), უბრალოდ „ბიზნესის" კეთების „ნორმატივით" ისარგებლეს და ფულის მოგების მიზნით თანამდებობა ბოროტად გამოიყენეს.

რა „ბიზნესზეა" ლაპარაკი? მარტივ არითმეტიკაზე, რომელსაც არ სჭირდება უმაღლესი განათლება (თუმცა ორივე უმაღლეს-დამთავრებულია) — თუ მეპურე ერთ ტომარა ფქვილს გამოაცხობს (საშუალოდ 120 პური გამოდის), იქიდან 6 ათასი კუპონის შემოსავალს მიიღებს, თუ ფქვილად გაყიდის — 15 ათასს (უარეს შემთხვევაში — 8 ათასს). იმის გარჩევა, თუ რომელი რომელზე მეტია, ბოჭორიშვილსა და ხაჩიძეს არ გასძნელებიათ, თუმცა შესანიშნავად იცოდნენ, რომ საცხობიდან ფქვილის გაყიდვა აკრძალულია (მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრულია).

უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მეთოდს გაცილებით ფართო მასშტაბით იყენებენ რესპუბლიკის რაიონებში (ამის ფაქტები არის), რაზეც ისიც მიგვანიშნებს, რომ თბილისს პერიფერიიდან უამრავი პურის მყიდველი აწყდება და არის ერთი ვაი-უშველებელი დედაქალაქში.

ამაზე უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ პურპროდუქტების კორპორაციის მესვეურნიც. მათ მიაჩნიათ, რომ თუ არ შეიცვალა პურზე ფასწარმოქმნის მექანიზმი, მუდამ დარჩება საცდუნებელი, რომელიც მეპურეებს დანაშაულისკენ უბიძგებს. ამის დასასაბუთებლად სათანადო გაანგარიშებაც მოყავთ: დღეს ერთი ცალი პური საშუალოდ 50-60 კუპონად იყიდება, მაშინ როცა ფქვილის რეალური ფასი 250-300 კუპონია, ხოლო თვითონ პური გაცილებით ძვირი ჯდება, ასეთ დროს, როცა არ არსებობს პურის ცხობით დაინტერესება, მეპურე ყოველთვის შეეცდება ფქვილი გაყიდოსო.

ხედავთ, არ არსებობს დაინტერესებაო. არადა, მეპურეს ახლა რომ დაინტერესება აქვს, ასეთი არასდროს ჰქონია: მას შეუძლია ერთდროულად სახელმწიფოც მოიმადლიეროს (პური ნაწილობრივ გამოაცხოს) და ჯიბეც გაივსოს (ფქვილი გაყიდოს).

როცა ასეთ გაანგარიშებებს ვისმენ (მასში ყველა სახის ინტერესია გათვალისწინებული, გარდა ზნეობრივისა), რატომღაც ყოველთვის მახსენდება ვანო ოქროწონაშვილი, რომელიც თავისი „რკინის ლოგიკით" ცდილობს ხოლმე ყოველგვარი უზნეობის ბიზნესის მოტივით გამართლებას. არადა, ვერ გამიგია, მეპურეს, რომელიც არც ტოტალიტარიზმის წლებში გრძნობდა თავს უფულობით დაჩაგრულად და არც ახლა, რატომ უნდა ელახებოდეს თავმოყვარეობა პურის რეალურ და გასაყიდ ფასს შორის არსებული სხვაობით? მით უფრო, რომ ეს სხვაობა სახელმწიფო ბიუჯეტს აწვება და არა ხაბაზის ჯიბეს.

თუმცა, სამწუხაროდ, ძალიან ბევრს (რა თქმა უნდა, ყველა ერთი არშინით არ შეიძლება გავზომოთ) სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებზე მეტად საკუთარი ჯიბის ინტერესები აღელვებს. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როცა მოვინახულე მეოთხე და მეექვსე პურის საცხობები, რომლებიც ნაგავში, სისინძურესა და სამშენებლო ნარჩენების გროვაში იხრჩობა. ნუთუ ფულის მკეთებელ ხალხს საკუთარი საწარმოს იერსახე მაინც არ უნდა ანაღვლებდეს?

არა, როგორც ჩანს, ისინი საკუთარი ჯიბის იქით ვერაფერს ხედავენ. არადა, რაოდენ საჭიროა ჯიბეთხელი ხალხისკენაც ვიხედებოდეთ, მათ ვარამსა და შეჭირვებასაც ვიზიარებდეთ. რა თქმა უნდა, ჩვენ რომ ტიპიური საბაზრო ეკონომიკის ქვეყანა ვიყოთ, მაღაზიებში პურიც სამყოფი გვექნებოდა და ხელფასიც, მაგრამ რადგან ეს არა გვაქვს (მოკლე დროში არც გვექნება), ბევრ რამეს მარტო ეკონომიკური კი არა, ზნეობრივი თვალითაც უნდა შევხედოთ, ერთმანეთს მივეხმაროთ, წავეშველოთ. თუ ეს არ მოხდა, თუ ერთმა მხოლოდ საკუთარ მუცელზე იფიქრა და მეორე პურის რიგში გაიჭყლიტა, სოციალური აფეთქება დღეს თუ არა, ხვალ მაინც არ აგვცდება.

ასეთ აფეთქებას კი, როგორც ცნობილია, ფულს ჯებირად ვერ დაუყენებ, იგი მდიდარსა და ღარიბს, ფულიანსა და უფულოს ერთნაირად გადაქელავს. ნუ მივიყვანთ საქმეს აქამდე, ჩვენ ყველანი, მქონებელიც და უქონელიც ერთმანეთს უნდა მოვეფრთხილოთ, რათა ცხოვრება ჯოჯოხეთად არ ვაქციოთ.

ოთარ ხუციშვილი.

ინფორმაცია-93

„იბერიის" ლენტიდან

თბილისი. 28. მეოთხე დღეა მიმდინარეობს საპროტესტო აქცია საგარეჯოს რაიონის გამგებლის წინააღმდეგ. აქციის მონაწილეებმა [illegible] მისი სამუშაო კაბინეტი და მოითხოვეს გამგებლის გადადგომა. მოსახლეობის ერთი ნაწილი მოითხოვს გამგებლის პოსტზე კომპარტიის ყოფილი რაიკომის პირველი მდივნის მედეა მეზვრიშვილის დანიშვნას.

საგარეჯოს რაიონის გამგებელი, მისი მოადგილე და რაიონის პოლიციის უფროსი გადადგნენ დაკავებული თანამდებობიდან.

ქუთაისი. 28. 27 ივნისს, ქუთაისში დანიშნული იყო ადგილობრივი დეპუტატების არჩევნები. 5 კანდიდატიდან თავიდანვე სერიოზულად გამოკვეთილი იყო ვალერი ასათიანის, ჯონი ხეცურიანის, შოთა მაღლაკელიძის კანდიდატურები.

დღეს დილით „იბერიის" კორესპონდენტი დაუკავშირდა საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომელმაც განაცხადა, რომ ჯერ არჩევნების შედეგები არ შეჯამებულა. წინასწარი მონაცემებით გაიმარჯვა ვალერი ასათიანმა. მანვე აღნიშნა, რომ 140000 ხმის უფლების მქონე ამომრჩევლიდან მონაწილეობა მიიღო 28000 მოქალაქემ.

საარჩევნო კომისიებში შემოსულია ასობით პროტესტი, განცხადება, აქტი და ოქმი, სერიოზული პრეტენზიებით არჩევნების ფალსიფიცირების შესახებ.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს ნანა აბრამიძეს მიაჩნია, რომ არჩევნები საერთოდ ჩაშლილად შეიძლება ჩაითვალოს. მანვე გვაცნობა, რომ ბევრ უბანში მოხდა არჩევნების გაყალბება. ამიტომ, იგი ხელს არ მოაწერს ოქმს ქუთაისში არჩევნების ჩატარების თაობაზე და თავის პროტესტს აცნობებს რესპუბლიკის პარლამენტს და საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

კომისიის გამოყოფას და არჩევნების შედეგების შემოწმებას მოითხოვენ „ქარტია-91"-ის ქუთაისის საქალაქო ორგანიზაცია, ტრადიციონალისტთა კავშირის ქუთაისის ორგანიზაცია და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იმერეთის რეგიონული ბიურო.

საოლქო-საარჩევნო კომისიის სახელზე პიროვნულად პროტესტი შეიტანა თავად დეპუტატობის კანდიდატმა შოთა მაღლაკელიძემაც.

საქართველოს პარლამენტის წევრმა, „ქარტია-91"-ის წევრმა მალხაზ დვალიშვილმა „იბერიის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ ქუთაისში ჩატარებულმა არჩევნებმა აჩვენა დღევანდელი ხელისუფლებისადმი და პარლამენტისადმი მოსახლეობის დამოკიდებულება.

არჩევნებზე მოვიდა ამომრჩეველთა 18 პროცენტი, თუმცა, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, — განაცხადა დვალიშვილმა, — ამ 18 პროცენტის ნახევარი — გაყალბებულია.

დედოზარი

ასეთი მძიმე და მსუბუქი ტვირთით

ამ ბოლო ხანებში ერთი მოთხრობის გმირი მაგონდება ხოლმე ხშირად, ორად ორ სიტყვას — „აღარ შემიძლიაა!..." — თითქოს მთელ ჯიგარს რომ ამოაყოლებს. იმ გმირის (გმირისა რა გითხრათ, ერთი უბედური კაცია) დღეში დღეს მთელი საქართველო, ერთნაირად „აღარ შეგვიძლიაა" და ერთნაირად ჯიუტად არ გვინდა თავს ვუშველოთ. რასაც ვერ ვაკეთებთ, რასაც ჩვენი ძალ-ღონე არ ყოფნის, ის არ არის ჩემი ფიქრის საგანი დღეს. რაც შეგვიძლია, მაგრამ არ ვაკეთებთ, იმაზე მინდა ვიფიქროთ ერთად...

9 აპრილის შემდგომი საქართველო მაგონდება კიდევ ხშირად, თითქოს თვალდათვალ განვიწმინდეთ, ერთმანეთი არ გვძულდა, ვინდობდით ერთურთს. ესე იგი, შესაძლებელი ყოფილა ერთად ყოფნა. კი, მაშინ დიდმა, უდიდესმა ტკივილმა მიგვიყვანა ერთმანეთთან, მაგრამ ამ წუთში ის შედეგი უფრო მაინტერესებს — ჩვენი ერთად ყოფნა. ნუთუ არ შეიძლება ტკივილმა კი არა, — თუმცა ტკივილიც არ გვაკლია, — რაიმე სხვა დიდმა გრძნობამ გაგვაერთიანოს, ვთქვათ, სამშობლოს სიყვარულმა. მაგრამ ამისათვის, ეტყობა, ის სამშობლო მართლა ისე უნდა გვიყვარდეს, როგორც სუფრაზე ვაჩვენებთ ერთმანეთს. არადა, ყველამ ერთად და ცალცალკე ძალიან კარგად ვიცით, რომ უამისოდ, უერთმანეთოდ ლელოს ვერ გავიტანთ. ლელოს გატანა კი დღეს არც მეტი, არც ნაკლები, სამშობლოს ხსნა არის.

მთელი თავისი ისტორიის მანძილზე საქართველო სულ რამდენჯერმე იყო გაერთიანებული, ყოველთვის — სხვადასხვა ნიადაგზე. ამის ანალიზი ერთი საგაზეთო პუბლიკაციის ჩარჩოებს სცილდება. ის კი შეიძლება, ჩვენი უახლოესი წარსულის მაგალითებში მოვიხმოთ — დადებითი გამოსაღებად, უარყოფითი — არგასამეორებლად.

„1917 წლის სექტემბერში სამივე წამყვანი პარტიის: სოციალ-დემოკრატების, სოციალ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატების წარმომადგენლებმა მოქმედების ერთიანობის გეგმის შესამუშავებლად შექმნეს „ინტერპარტიული საბჭო". ეს კრიზისულ პირობებში პარტიათა კონსენსუსის ისტორიული გაკვეთილია, საიდანაც დასკვნა თანამედროვე პარტიებმაც უნდა გააკეთონ".

ეს არის დღევანდელი საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების აზრი და სურვილი, გამომდინარი მწარე რეალობიდან.

რა მაგალითი გვიდევს წინ, რა გამოგვადგება საანალიზოდ?

ნესტან კირთაძე — ისტორიკოსი: „პოლიტიკური აზროვნება ყოველთვის პოლიფონიური იყო და მითუმეტეს — საქართველოში; განსაკუთრებით — გასული საუკუნის ბოლოს და მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, როდესაც როგორც სხვადასხვა თაობის, ისე სხვადასხვა სოციალურ სტრუქტურულ ერთეულთა ინტერესები და ღირებულებათა ორიენტაცია რამდენიმე პოლიტიკურ მიმართულებად და პარტიად ჩამოყალიბდა.

დროისა და ქვეყნის მდგომარეობის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ 1901 წელს არჩილ ჯორჯაძემ პირველმა შეიმუშავა საერთო მოქმედების ნიადაგის თეორია, რომელშიც სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა საერთო მოქმედების აუცილებლობა და პრაქტიკული შესაძლებლობებია მოცემული.

ამ ინიციატივას აქტიურად დაუჭირეს მხარი ეროვნულ-დემოკრატებმა. ამდენად გვაქვს საერთო პოლიტიკური მოქმედების ორჯერ მცდელობის მაგალითი ჩვენი ერის უახლოეს ისტორიაში. ერთი: 1917 წლის ადრე გაზაფხულზე, როდესაც გაჩნდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების ისტორიული შანსი, რასაც მოჰყვა 1918 წლის 26 მაისი. მაგრამ საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სამ წელიწადს ვერ იარსება და არა მარტო იმიტომ, რომ ასეთი იყო გარეშე დამთრგუნველი ძალის მოქმედებით გამოწვეული ისტორიის შედისწერის აუცილებლობა, არამედ იმიტომაც, რომ მაშინაც [illegible] იმძლავრა ერთიანობაზე, ვიწრო-პარტიული ინტერესები ერის ინტერესებზე მაღლა დადგა. ასეთმა პარტიკულარიზმმა რაც მოუტანა პირველ რესპუბლიკას და საერთოდ მთელ ერს, უკვე საყოველთაოდ ცნობილია.

და მეორე: პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია კვლავ დაიწყო 1922 წლის გაზაფხულიდან უკვე საქართველოს გათავისუფლებისათვის. აქაც განკერძოების ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რამაც იქვე დამარცხებისათვის განწირა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველობისა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს პოლიტიკურ ძალთა საერთო მოქმედების აუცილებლობა, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაისვა, საუბედუროდ, მისი ავტორების სიცოცხლეშივე დამარცხდა და იგი მხოლოდ იდეად გადმოეცა ქართულ პოლიტიკურ აზროვნებას.

დღეს ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი, უცხო ძალის ფაქტორით განპირობებული კონფლიქტები და დარღვეული ტერიტორიული მთლიანობა, ერის საერთო უმძიმესი ზნეობრივი მდგომარეობა, უკვე საფრთხეშექმნილი გენოფონდი და სხვა, საბოლოო ანგარიშით, უკვე ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს უკავშირდება და, სავსებით სწორად, ჩვენი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების დღის წესრიგში საკითხს ერთ განზომილებაში აყენებს. ესაა ერის გადარჩენის საკითხი, რომელიც დღეს განსაკუთრებულ და გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს **ეროვნული მთლიანობის** აუცილებლობას.

მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ითქვას, რომ ამაზე საუბარი კვლავ მხოლოდ ჩვენი რიტორიკისა და ორატორიკის აუცილებელ ატრიბუტად რჩება და არა ქვეყნის გადარჩენის საშუალებად.

ჩვენი ქვეყნის სინამდვილის სწორად შემეცნება ისევ გვკარნახებს **საერთო პოლიტიკური მოქმედების აუცილებლობას, რაც, ისევე, როგორც მაშინ, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შევარიგოთ შეურიგებელნი ან შევაერთოთ შეუერთებელი, საერთო პოლიტიკური მოქმედება არ ნიშნავს პარტიათა შორის ყოველგვარი წინააღმდეგობის მოხსნას. ერთიანობა, რომელსაც უნდა ვესწრაფოდეთ, ბუნებრივია, არ შეიძლება იყოს უსაზღვრო და მისი სწორად გაცნობიერება იმ საზღვრების მოხაზვასაც ნიშნავს, რომლის მიღმა ერთიანობა შეუძლებელია.**

ერთიანობისათვის ერთი მიზეზი და ერთადერთი ინტეგრალური საკითხი არსებობს მხოლოდ: ერის გადარჩენა, მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი წარმატება".

ეს ყველაფერი საფიქრალს აღძრავს, რასაც თავისთავად მოსდევს კითხვები: როგორ მოხერხდა მაშინ სხვადასხვა პარტიათა კონსოლიდაცია და რა უშლის ხელს დღევანდელ პოლიტიკურ ძალებს ამაში? და საერთოდ არის თუ არა შესაძლებელი, ერთის მხრით, ჩვენი საზოგადოების და მეორეს მხრით, ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის გაერთიანება რაიმე იდეის თუ პლატფორმის გარშემო?

რადგან ზემოთ დასახელებულ პარტიათაგან ორი (ეროვნულ-დემოკრატები და სოციალ-დემოკრატები) დღესაც მოქმედებს, მათი ლიდერების აზრი მოვისმინოთ.

გიორგი ჭანტურია. — ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე: „ის გაერთიანება, როგორც მოვლენათა განვითარებამ დაგვანახვა, ძალზე არამყარი იყო და განსაკუთრებული დადებითი როლი ჩვენს ისტორიაში არ შეუსრულებია.

რაც შეეხება დღევანდელობას, პოლიტიკურ ძალთა კონსოლიდაცია, ჩვენი დიამეტრალურად განსხვავებული ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლებლად მეჩვენება. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დამოუკიდებლობის იდეას ყველა თითქოს მხარს უჭერს, მეტიც, იბრძვის კიდეც ამისათვის, თავის მოქმედებით მავანნი ნებსით თუ უნებლიეთ ამ დამოუკიდებლობის მტრების წისქვილზე ასხამენ წყალს.

გარდა ამისა: ჩვენი წინააღმდეგობანი მხოლოდ პოლიტიკური ხასიათისა რომ იყოს, კიდევ შეიძლებოდა რაიმე გზების ძიება. მაგრამ იმდენად ძლიერია ჩვენა გრძნობები, წმინდა პირადული წყენანი, რაც გათიშულობის საფუძველი ხდება ხოლმე, რომ ყოველგვარ კონსოლიდაციაზე ფიქრს ძირშივე აღკვეთს ხოლმე. როდესაც ყოველი გადაყენებული, ესე იგი განაწყენებული, თანამდებობის პირი ოპოზიციაში მიდის, რა ერთიანობის იდეებზე შეიძლება იყოს საუბარი. მეტს გეტყვით: რამდენიც გნებავთ, იმდენი ეგრეთ წოდებული ოპოზიციონერის „მოქცევა" შეიძლება მათთვის რაიმე პოსტის მიცემით.

ეს პოლიტიკურ ძალებზე მოგახსენეთ. საზოგადოების გაერთიანება კი ყოვლად აუცილებელია და ამაში გადამწყვეტი სიტყვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს — პრესას, ტელევიზიას, რადიოს ეკუთვნით. სამწუხაროდ, ხშირად ისინი სწორედ საწინააღმდეგოს შვრებიან.

მაგალითი ერს პოლიტიკურმა ლიდერებმა, მართვის უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლებმა უნდა მისცენ. სიგუა-ღვალიშვილის „დუეტი" ამ მაგალითად არ გამოდგება. მთავრობა თანამოაზრეთა გუნდი უნდა იყოს. ნათქვამი პარლამენტსაც ეხება. არა, ის ერთი გუნდი არ უნდა იყოს, ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ სულისკვეთება ერთიანი და ჯანსაღი მოეთხოვებათ".

ზურაბ მუხაიძე — სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე: „ზემოხსენებული კონსოლიდაციის ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზი ის იყო, რომ მაშინდელ პარლამენტში წარმოდგენილი არც ერთი პარტია ექსტრემისტულ პოზიციაზე არ იდგა. ამ პარტიებს ლიდერობდნენ ევროპულ ცივილიზაციას ნაზიარები პიროვნებები, რომლებიც ვიწრო პარტიული ინტერესებით არ იფარგლებოდნენ. გარდა ამისა, მაშინდელი ხელისუფლება კონფრონტაციაში არ შედიოდა არც ერთ მეზობელ სახელმწიფოსთან, მათ შორის, — რუსეთთან. და კიდევ: მაშინდელ ხელისუფალთ ეკონომიკაში რევოლუციური ცვლილებები არ დაუსახავთ მიზნად. ისინი რეფორმების გზით, ევოლუციური მეთოდებით ცდილობდნენ არსებული ეკონომიკური სტრუქტურების დახვეწა-გაუმჯობესებას.

— და მაინც... წააგეს.

— ბოლშევიკები მოექცნენ ქვეყნის სათავეში და იმიტომ.

— რა გარანტია გვაქვს, ახლაც, თუნდაც წარსულის შეცდომების გათვალისწინებით, სწორად რომ ვიმოქმედოთ, ისევ არ მოხნას ძალამ აღმართი?

— დღეს რუსეთის სათავეში ბოლშევიკები აღარ დგანან. ჩვენ კი არასწორი გზებით მივდივართ დამოუკიდებლობისაკენ. მთავარი ერთია: კონფრონტაციით კონსოლიდაცია არ მიიღწევა".

არის კიდევ სხვა შეხედულება.

ზურაბ ბაგნიძე — ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარე: „ერის გაერთიანება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული იდეოლოგიით. ჩვენი ეროვნული მოძრაობის ყველაზე დიდი ნაკლი ის იყო, რომ მას საკუთარი ეროვნული იდეოლოგია არ ჰქონდა. მარქსიზმი კი უარყვეს, მაგრამ მას აღარაფერი დაუპირისპირეს. დეიდეოლოგიზაციის მავნე შედეგები კი დღეს სახეზეა.

ჩვენ ეროვნული იდეოლოგიის პარტიად ვიწოდებით, მაგრამ პარტიაში ყველა ვერ შემოვა. ამიტომ წამოვაყენეთ ეროვნული იდეოლოგიის ხსნის კომიტეტის იდეა. კომიტეტი სათავეში ჩაუდგება ეროვნული იდეოლოგიის ხსნის მოძრაობას, რაც რეალურ თავისუფლებამდე მიგვიყვანს. მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, მთელი ძალისხმევა მოახმარონ ამ იდეის რეალიზაციას ერის კონსოლიდაციის სახელით. აქვე მინდა ვთქვა: პოლიტიკაში მხოლოდ ჩვენი პოლიტიკური იდეების და თეორიული აზრების პრაქტიკაში დასანერგად ჩავებით; ესე იგი, ეროვნული იდეოლოგიის თავის კანონიერ უფლებებში აღდგენისა და აღორძინებისათვის. პარადოქსულად მოჩანს, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით: ზ. გამსახურდიას ყველა მემარცხენე პოზიციიდან აკრიტიკებდა, ჩვენ სწორედ „მარჯვნიდან" გვაქვს მისადმი პრეტენზიები — ეროვნული ენერგია მის დროს დათრგუნული იყო და არა პირიქით. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მან საქართველოს სულიერი მისია დაივიწყა. აი, ამ დეფიციტის შევსებას ვცდილობთ დღეს.

ჩვენ მხარს ვუჭერთ ეროვნულ თვითმმართველობას, როგორც სახელმწიფოებრივი წყობის უნიკალურ ფორმას, ამასთან ქართველი ერის ბუნებასთან ძალზე მისადაგებულს. ერის კონსოლიდაციას ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს.

გარწმუნებთ: ყოველივე ზემოთ თქმული უტოპია არ არის, რეალობაა და რაც უკეთ გავიაზრებთ მას, მეტს მივაღწევთ".

რა აერთიანებდა საქართველოს სხვადასხვა დროს? — ძალა? რელიგია? ანტირელიგია? (კომუნისტების ეპოქა). როცა ზღვართან აღმოჩნდები, მეტიც, როცა ნულს ჩაცდები და სულ ქვემოთ და ქვემოთ მიექანები, იქნებ არჩევანი აღარც კი გაქვს უკვე, იქნებ დღეს ერთადერთი, რამაც უნდა გაგვაერთიანოს, შიშის გრძნობაა, შიში იმისა, რომ ხელიდან გვეცლება ასე კარგი და ასე ნატანჯი სამშობლო.

ერთი თანამედროვე დასავლელი ფილოსოფოსი სიყვარულის არსს ერთადერთი სიტყვით განსაზღვრავს — ზრუნვა. სხვა ყველა შემთხვევაში (თუ არ არის ზრუნვა), ეს გრძნობა არის არა ჭეშმარიტი სიყვარული, არამედ ვნება. ქართველ კაცს კი ეს სიტყვა რომელი ცნების სინონიმად აქვს, ხომ ხედავთ. ალბათ იმიტომ, რომ ვნებას ვნების მეტი არარა მოაქვს. ესე იგი სიყვარული, მისი ობიექტი პიროვნებაა თუ სამშობლო (მით უმეტეს), ზრუნვაა უპირატესად. გვაქვს ჩვენი სამშობლო ნაზრუნი, მოვლილ-ნაპატივები ქვეყანაა? კი, გვაქვს, როგორც წისქვილისკენ მიმავალი საფქვავადკიდებული, გაძვალტყავებული მარგო გვაქვს საყვარელი ადამიანის ხელში ჩავარდნილ გაუფუფუნებელ ქალს, ისე. უხმოდ გოდებს ჯაყოების ხელში ჩავარდნილი საქართველო. უცხო ტომის ჯაყოებს წავგლიჯეთ ვითომ, საკუთარ ჯაყოთ კი ჩავუგდეთ ხელში. არის სხვაობა განა?! საკუთარი, თვისტომზე ლულამიმარჯვებული ჯაყო უფრო ძნელი ასატანიც კია, ვიდრე უცხო ტომისა.

ზურაბ ავალიშვილს ასეთი სიტყვები აქვს: „ჭვარონხული საქართველო, საქართველო გულადი მეფეებისა, ძველი იერარქებისა, სწავლული და ღვთისმოსავი ბერებისა, უბადლო რაინდებისა, საქართველო მიწის მუშაკთა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე რომ იცავდნენ მშობლიურ ველ-მინდვრებს. ეს მთელი საქართველო როდი გახლავთ. ეს არის მხოლოდ ერთი, თუმცაღა საუკეთესო, სტიქია მისი ისტორიული ცხოვრებისა. არსებობს სხვა საქართველო, არანაკლებ, თუ მეტად არა, ქმედითი, ვიდრე ის — პირველი. ესაა საქართველო რჯულგანდგომილ მეფეთა, ყაენის მლიქვნელ მგლებად გადაქცეულ მოძღვართა, ყმით მოვაჭრე თავადთა, ძარცვის ინსტინქტებით შეპყრობილ აზნაურთა და იარაღასხმულ მათივე შინაყმათა საქართველო. ეს ორივე საქართველო ერთი მეორის გვერდიგვერდ ცხოვრობს, ერთიმეორეში არასდროს გათქვეფილა, მაგრამ ხშირად ერთი მათგანი გამოდიოდა წინა პლანზე, ხოლო მეორე ჩრდილში რჩებოდა". ალბათ მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში არსებობს ორი განსხვავებული ქვეყანა, მაგრამ მთავარია არსებობის უფლებას რომელი მოიპოვებს; რომელი წინა პლანზე გამოვა და რომელი ჩრდილში დარჩება. ყოველთვის, როდესაც ჩვენი ქვეყანა ერთიანი, მთლიანი ყოფილა, ის, პირველი საქართველო მართავდა მეორეს, დაქსაქსულსა და დანაწევრებულში კი მეორენი, ჯაყონი მძლავრობენ. უნდა შევეგუოთ ამას? მივეჩვიოთ მწარე ფიქრს — ნუთუ საბოლოოდ იქცა პირველი საქართველო თეიმურაზ ხევისთავად? უნდა მიწყივ ვიმეოროთ პოეტის სასოწარკვეთილი ამონაკვნესი? — „სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო, ანდა არ იყოს ასე ლამაზი!".

წინაპარი ასე სჯიდა — ლამაზი ქალი და კარგი ცხენი ვაჟკაცისაა. სამშობლოც უპირატესად მისი მოსავლელია და თუ მას ჯაყო მოერია, ველარ ყოფილა ვაჟკაცი. ნათქვამს კონკრეტული მისამართი მაინც არა აქვს; მეტ-ნაკლებად ყველას გვეხება იგი — ვაჟკაცსაც და დედაკაცსაც, ერისაც და ბერსაც, დიდსაც და პატარასაც, რადგანაც წელგამართული ქვეყანა სხვა არაფერია, თუ არა თითოეული ჩვენგანის კეთილდღეობა.

რა მძიმე და რა მსუბუქი ტვირთია — გიყვარდეს. დღეს სიძულვილის უფლება აღარა გვაქვს. იმათიც მესმის, საყვარელი პრეზიდენტის ხატებას რომ ვერ შელევიან. პატივსაც ვცემ მათს გრძნობებს, როგორ შეიძლება სიყვარულს პატივი არ სცე, მაგრამ ერთადერთი, რასაც არ ელალატება, რასაც არანაირი იდეალი შეენირება, ხომ ეროვნული იდეალია, სამშობლოა. მაშ რად გვიპირს აგრე ერთმანეთისკენ ნაბიჯის გადადგმა?! იქნებ გავბედოთ... თუ ერთმანეთს ვერ შევიყვარებთ, ერთურთის გვერდით დავდგეთ და ისე შევაშველოთ ხელი საერთო საქმეს, როგორც შეგვიძლია. კარგა ხანია რეკავს დედოზარი, ვუსმინოთ, თუ გვაქვს სასმენელნი.

9 აპრილის შემდეგ ერთ ხანს გაიტანა ერთიანობამ. მერე ისევ დავიფშვნეთ. ეტყობა, უფრო ძლიერი, უფრო სანდო დუღაბია საჭირო, ვიდრე უბრალოდ — ტკივილი, თუნდაც ძალზე ძლიერი; უფრო გაცნობიერებული და რაციონალური დვრიტიდან უნდა ამოვიდეთ, ვიდრე ემოციებია, ეს კი ერთადერთი რამ შეიძლება იყოს — ისევ სამშობლო. და თუ ვერც ეს გვიშველის, არ ვყოფილვართ მისი ღირსნი, რადგან უფალი, ეტყობა, ბოლო შანს გვაძლევს. თუ ახლა ეს ხელიდან გაგვისხლტდა და ისევ უკუღმა დაგვიტრიალდა ბედისწერის ჩარხი, მერე შეგვიძლია ოცნებაშიღა გავატანოთ შთამომავლობას ფიქრი თავისუფალ საქართველოზე. ჩვენ კი სხვა სამშობლო, ვაგლახ, არა გვაქვს.

გალინა ხარებაშვილი

ისევ რკინიგზამ უნდა გვიხსნას

გარეკახეთში ერთ-ერთი დიდი სოფელია კაკაბეთი, სადაც რკინიგზის გახსნისთანავე დაწესდა გაჩერება და მას შემდეგ ერთგულად ემსახურებოდა ხალხს, რადგან ყველა სამგზავრო მატარებელი ჩერდებოდა. უკანასკნელ წლებში კი, როცა ავტოტრანსპორტი მომძლავრდა და თითქმის ყველა სოფლიდან სამარშრუტო ავტობუსები დაინიშნა თბილისისაკენ, ბაქანი გაუქმდა, რადგან რკინიგზა სამი-ოთხი კილომეტრით დაშორებულია სოფლიდან და ზედმეტ სიარულს ერიდებოდა ავტოკომფორტით განებივრებული ხალხი. ახლა კი, როცა საწვავის დეფიციტის გამო ავტოტრანსპორტის ღირებულებამ კატასტროფულად მოიმატა და მარშრუტებიც მნიშვნელოვნად შეთხელდა, ხალხმა ისევ რკინიგზას მიაშურა. იგი მზად არის, ძველებურად ფეხით გაიაროს დიდი მანძილი და მატარებელს დაელოდოს, მაგრამ ძველებურად აღარ ჩერდებიან მატარებლები. ზოგი თუ აჩერებს, მეტი წილი არ ჩერდება. უღვთოდ ჩაუქროლებენ ხოლმე მუხლდაწყვეტილ მგზავრებს და პირშიჩალაგამოვლებულები იძულებული ხდებიან, აიკიდონ ბარგიბარხანა და ისევ სოფლისაკენ შეუყვნენ აღმართიან გზას.

კარგი იქნება, თუ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელები კაკაბეთელთა გასაჭირს ანგარიშს გაუწევენ და კვლავ საიმედოდ დაუწესებენ გაჩერებას, რაც ყველა სამგზავრო მატარებლისათვის სავალდებულო იქნება.

სხვა გზა არ არის, ისევ რკინიგზამ უნდა გვიხსნას გაჭირვებისგან.

გიორგი პაპუაშვილი,
მწერალი.

სარედაქციო ფოსტიდან

ხალხს ნუ ვაღიზიანებთ!

ბოლო ორი წლის საქართველოში გაუთავებელი შინაომებით, ხალხი შიმშილის პირზეა მისული, ამის განმარტება დღეს არავის სჭირდება. ჭირჭირობით გამოსავალიც არ ჩანს, თარეშობს დამნაშავეთა სამყარო, გლეხსაც კი ვეღარ დაუძინია ნორმალურად მთელი დღე მიწასთან ჭიდილის შემდეგ.

და ამ დროს დღეში რამდენიმეჯერ უწევენ რეკლამას მსოფლიოში ცნობილ კურორტებსა და ქვეყნებს (ტელევიზიით), სადაც ეპატიჟებიან მსურველებს, დასასვენებლად თუ სამოგზაუროდ ათასობით დოლარად და ასი ათასობით მანეთის ღირებულების გადახდით. ამ დროს მტერს აკვდებიან პატრიოტი ქართველი მამები და შვილები. საქართველოს ყველა რაიონი თუ ქალაქი სავსეა ლტოლვილებით, რომელთაც კარგა ხანია დაკარგეს საკუთარი კერა. კი ბატონო, იმოგზაურონ დიდი კაპიტალის პატრონებმა, ნუ მოიკლებენ ყოველგვარ სიამეს, მაგრამ, იცით, როდის? როდესაც დამთავრდება ომი და დამყარდება მშვიდობა. მოდით, და ის ფულები თავდაცვას მოვახმაროთ, ტყვია-წამლის შეძენას მოვახმაროთ, რომლის დეფიციტსაც დღეს განიცდის შეიარაღებული ძალები და შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის განყოფილებები.

დღეს ომი ყველასთვის უნდა იყოს. ჩვენ ღვთის შვილები ვართ, ნუ გავაღიზიანებთ უსახლკაროებს, ხელმოკლე ოჯახებს, დაჭრილ და ინვალიდ პირტიტველა ბიჭებს.

ჯ. გოგსაძე,
ბაღდათის გამგეობის თავმჯდომარე.

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

შეიქმნას წახალისების ფონდი

მე, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი, წლების მანძილზე წესრიგის დაცვის სადარაჯოზე ვიდექი, რამაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საკმაო გამოცდილება შემძინა. კარგად ვიცნობ პოლიციელთა რთულ და ფათერაკიან საქმიანობას. ვიცი მათი თავდადების ფასიც, და ამიტომ სულითა და გულით მივესალმები ყველა ჯურის დამნაშავეებთან დაუნდობლად მებრძოლ სამშობლოს ერთგულ პოლიციელთა და შინაგანი ჯარების თანამშრომელთა წასახალისებლად ფინანსური სახსრების გამოძებნის შესახებ ბატონ ედუარდ შევარდნაძის წინადადებას, რომელიც მან ეროვნული თავდაცვის ფონდის შექმნის მნიშვნელობის აღნიშვნისას წამოაყენა.

პოლიციელს დალხინებული ცხოვრება არასოდეს ჰქონია, მით უმეტეს, დღეს. ამ ძნელბედობის ჟამს მისი ხვედრი ორმაგად დამძიმდა, დიდი ნაწილი აფხაზეთში იარაღით ებრძვის მტერს, არანაკლებ მძიმე მისია აკისრიათ იმათ, ვინც მშვიდობიან მოსახლეობას იცავს დამნაშავეებისაგან.

მოკლედ, ჭეშმარიტი, საქმის ერთგული, თავდადებული და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლიციელის თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მებრძოლებს მკერდი მუდამ ტყვიისათვის აქვს მიშვერილი. ამიტომაც მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს — შინაგან საქმეთა სამინისტროს თადარიგში მყოფ პენსიონერებს, რესპუბლიკის მოსახლეობას, დაწესებულებებს, შევქმნათ პოლიციელთა და შინაგანი ჯარების მოსამსახურეთა, ჭეშმარიტი საქმის ერთგულ მებრძოლთა წახალისების ფონდი, მასში ყოველთვიურად ჩავრიცხოთ ჩვენი პენსიის ორი ან ერთი პროცენტი, მოსახლეობამ და ორგანიზაციებმა კი — შესაძლებლობების მიხედვით. კარგი იქნება, თუ ფონდი დაღუპულ პოლიციელთა და შინაგან ჯარების მებრძოლთა ოჯახებსაც დაეხმარება.

ვიმედოვნებთ, ჩემი კოლეგები, რესპუბლიკის მოსახლეობა და ორგანიზაციები ხალისით აუბამენ მხარს ამ აუცილებელ და საჭირო წამოწყებას.

აკაკი გელოვანი,
გადამდგარი პოლკოვნიკი.

გვიშველეთ რამე!

ჩვენი კოლექტიური მებაღეობა მდებარეობს დუშეთის რაიონის ნასოფლარ ბოდორნის ტერიტორიაზე და მოიცავს 120 კომლს (ნაკვეთები ეკუთვნის მთავარი სასულიერო სამმართველოს, საქრადიოტელევიზიას და საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებს. აღნიშნულ ტერიტორიაზე გაშენებული გვაქვს საბაღე სახლები და მივდევთ მეურნეობას.

ზამთრის დიდთოვლიანობით ისარგებლეს მიმდებარე სოფლებში მცხოვრებმა დამნაშავე ელიმენტებმა და უკანასკნელ ხანებში გაძარცვეს და დაწვეს აბსოლუტურად ყველა სახლი. წაღებულია, როგორც საყოფაცხოვრებო დანიშნულების ტექნიკა და საგნები, ისე საოჯახო ნივთები და საშენი მასალები. ყველა შენობას მიყენებული აქვს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

გაძარცვულია არა მარტო პირადი ქონება, არამედ ელექტროტრანსფორმატორი, წაღებულია წყალგაყვანილობის მილები, 8-ტონიანი წყლის 2 რეზერვუარი, დახსნილია ელექტროსადენები. გარდა ამისა, მებაღეობის ზოგიერთ წევრს ფულის გამოძალვის მიზნით უგზავნიან მუქარის წერილებს. შეუსრულებლობის შემთხვევაში გვემუქრებიან სიკვდილითა და სახლების დაწვით. გვაიძულებენ მივატოვოთ აშენებული სახლ-კარი.

ტერორისა და დაწიოკების შიშით ვერ ვასრულებთ საგაზაფხულო სამუშაოებს, რაც საგრძნობლად იმოქმედებს ჩვენი ოჯახის ისედაც მცირე ბიუჯეტზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არაერთხელ განვაცხადეთ დუშეთის რაიონის მილიციაში. უკანასკნელად მას განცხადებით მივმართეთ მიმდინარე წლის 5 მარტს (რესპუბლიკის პროკურატურის წარმომადგენლების თანდასწრებით), მაგრამ დღემდე არც ამას მოჰყვა შედეგი.

პატივცემულო რედაქციავ, იქნებ თქვენ მაინც გვიშველოთ რამე.

ა. ჩიკაშუა,
მებაღეობის ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარე.

იქნებ ახლა მაინც მოჰყვეს შედეგი...

ცხრა შვილის მამა ვარ. 1992 წლის აპრილში დამეწვა საცხოვრებელი სახლი. ამასთან დაკავშირებით ვანის რაიონის ხელმძღვანელობა ადგილზე კი მოვიდა და დახმარებაც აღმითქვა, მაგრამ რა, დღემდე არავითარი დახმარება არ გაუწევია. აქამდე იმედს მაინც მაძლევდნენ, ახლა აღარც ეს იმედია...

ძვირფასო რედაქციავ, აღნიშნულ საკითხზე ადრეც შეგაწუხეთ, მაგრამ უშედეგოდ. იქნებ ჩემს წერილს ახლა მაინც მოჰყვეს შედეგი.

გიორგი ბელთაძე,
ვანის რაიონი.

მე ასე მიმაჩნია...

მე არც პოლიტიკოსი ვარ და არც ჟურნალისტი. ჩემი ხანგრძლივი ცხოვრებით ცხოვრებისეული ცოტა გამოცდილება მაქვს. ამიტომ აღმაშფოთა ასე „იბერია-სპექტრის“ 75-ე ნომერში გამოქვეყნებულმა შოთა ქიტიაშვილის სტატიამ „შთამომავლობამ რომ არ შეგვაჩვენოს“. ეს წერილი, ჩემი რწმენით მიმართულია იქითკენ, რომ არეულობა შეიტანოს ისედაც აფორიაქებულ საქართველოს მოსახლეობაში, ზურგში ჩასცეს ხანჯალი მომავლის იმედებს და პერსპექტივებს, დაუპირისპიროს ერთმანეთს პოლიტიკური პარტიები და ხვამის მაძიებელი პიროვნებები.

მოქალაქე ქიტიაშვილი იქამდეც კი მიდის, რომ შევარდნაძეს არიგებს, როგორ მოიქცეს. მაინტერესებს, თვითონ ქიტიაშვილს რა წვლილი მიუძღვის რესპუბლიკის თუნდაც თავდაცვის, ასევე მისი აღორძინების საქმეში.

ამ სტატიაში განვითარებული მსგავსი აზრების მატარებელ პიროვნებას, ჩემი ღრმა რწმენით, საკადრისი პასუხი უნდა გაეცეს.

ეს არ არის სიტყვის თავისუფლება, ეს არის ერის წინაშე დანაშაული და ასეთი პირებისაგან ჩვენი რიგები უნდა გაიწმინდოს.

კიდევ ერთ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება: როცა „იბერია-სპექტრის“ რედაქტორის — გოცირიძის მიმართ დაიწერა წერილი „წუმპიდან წუმპეში“, რაღაცნაირად გული მეტკინა, ამ ხნის კაცის გაკრიტიკება რაღად დასჭირდათ-მეთქი. მაგრამ ქიტიაშვილის და სხვათა მასალების ასე მასობრივად ამ გაზეთში ბეჭდვა მიმაჩნია საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ მიმართულ საქმიანობად.

მურმან კილაძე,
ბათუმი.

ყველაფერს აქვს საზღვარი

ბატონო რედაქტორო, მე თქვენი გაზეთის ერთ-ერთი რიგითი მკითხველი ვარ. რიგითი იმიტომ, რომ ეს გაზეთი თუ ერთადერთი არა, უპირველესია, სადაც შეგვიძლია ამოვიკითხოთ ნამდვილი, უპრეტენზიო სიმართლე. ეს გაზეთი რესპუბლიკის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანს უყვარს, მათ შორის მეც...

ახლა იმაზე, თუ რამ განაპირობა ამ წერილის დაწერა. ბატონებო, თქვენი ამა წლის 24 აპრილის ნომერში წავიკითხე წერილი „განსხვავებული აზრიცაა და განსხვავებული აზრიც“ და გულახდილად გეტყვით, ცუდად ვიგრძენი თავი. რა ხდება, ნუთუ საქართველოში ისეთი დემოკრატია შეიქმნა, სადაც ყველას აქვს უფლება ხელისუფლების ლანძღვის და აგინოს ხელისუფლება და ამით ქართველი ხალხი? ლანძღვა-გინება არასოდეს ყოფილა ქართველი კაცის დამახასიათებელი თვისება, მით უმეტეს დაუმსახურებლად. დღეს რა ღმერთი გვიწყრება? ამ უმსგავს ლანძღვა-გინებას და ცილისწამებას რესპუბლიკის ხელმძღვანელობა რატომ ითმენს. მით უმეტეს ახლა, როცა საქართველოში ომია და საგანგებო მდგომარეობაა?

მე არ მინდა ამ პატარა წერილში მოვიტანო ციტატები წერილში აღნიშნული „ბრალდებებიდან“. ყველამ იცის, რომ „ტყუილს მოკლე ფეხები“ აქვს, მაგრამ მაინც არ არის სასიამოვნო უგვანო ქცევა. მართლაც უკანონო და ქვეყნის მორალურად და ეკონომიკურად გამანადგურებელი ხელისუფლების მოთავეები ცილისმწამებლები ვეღარ არჩევენ „კანონიერს“ და „უკანონოს“. როდემდე შეიძლება ვითმინოთ ეს, საზღვარი ხომ აქვს ყველაფერს?..

მე გაზეთებს — „საქართველოს სამრეკლოს“ და „იბერია-სპექტრს“ აღარ ვკითხულობ, რადგან მათში გამოქვეყნებული წერილების უმრავლესობა ცილისმწამებლური და დემაგოგიურია. ისინი ხელოვნურად ქმნიან არაჯანსაღ ატმოსფეროს ისედაც გაჭირვებულ ხალხში, (აღვივებენ უნდობლობას კანონიერი ხელისუფლებისადმი, რომელიც ცდილობს როგორმე გადმოაბრუნოს გადაბრუნებული სახელმწიფო მანქანა...

საინტერესოა, ხელისუფლებაც რატომ უხვევს მათ თავზე ხელს? კმარა, მეტის მოთმენა საზიანოა საქართველოსთვის. ახლა ერთმანეთის მხარდაჭერა და პატიოსანი შრომა გვჭირდება.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობას წესრიგი და სამართლიანობა ჭირდება. ახლა ეს ძნელია, მაგრამ უნდა შევძლოთ...

ტ. წერეთელი,
ჭიათურა.

ღმერთმა ინებოს!

დიდი ჯიხაიში ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი სოფელია სამტრედიის რაიონში. ვისაც იგი უნახავს, მწიფექლიავისფერ საღამოს ნისლში ჩაფლული, ვერასოდეს დაივიწყებს მის სილამაზეს. სოფელს ბევრი კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტი ამშვენებს. მრავალი მნახველი მოუხიბლავს აქ, ასწლოვანი ძელქვებისა და კვიპაროსების ჩრდილში მდგარ ნიკოლაძეთა ოდას — ამჟამად სახლ-მუზეუმს. ბებერი ცაცხვების ჩრდილში მოთავსებულია სოფლის ერთი საშუალო და ორი რვაწლიანი სკოლა, ნიკო ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, მუსიკალური სკოლა, საავადმყოფო, სპორტული კომპლექსი და სხვა. ამჟამად ნიკო ნიკოლაძის სახელობის ტექნიკუმში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო აკადემია.

და რა დასანანია, რომ ასეთ სოფელში ეკლესია არ არის. დღეს, როცა აღდგა დაკარგული რწმენა, ამეტყველდა ლოცვა და ფსალმუნი, ლაღადის უფლისადმი, სულს ტაძარი მოუნდა.

სოფლის მკვიდრთ სურთ ეკლესიის აშენება და მზად არიან ამ საქმისათვის გაიღონ თანხა, არ დაიშურონ საკუთარი ძალა. ამ საქმეში სოფლიდან წასული ინტელიგენციის მხარდაჭერის იმედიც აქვთ. სოფლისათვის ზრუნვის ტრადიციები უნდა გაგრძელდეს. დიდი ნიკო ნიკოლაძის ამაგი საქვეყნოდ არის ცნობილი. მის მიმდევართა — ექვთიმე ვაშაკიძის, პოლიკო მიქაძის და სხვათა ამაგიც არ არის დავიწყებული. დღესაც ჰყავს სოფელს მოამაგე ადამიანები. ერთ-ერთი მათგანია საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ირაკლი ანდრიაძე, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია თანასოფლელებს საავადმყოფოს მშენებლობასა და კეთილმოწყობაში. მისი ზრუნვის შედეგია წელს სოფელში ბუნებრივი გაზის შეყვანის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინება, რადიოკვანძის მშენებლობისათვის კავშირგაბმულობის მინისტრისაგან თანხმობის მიღებაც... იმედია ასეთივე ენთუზიაზმით დაეხმარება იგი სოფელს ეკლესიის მშენებლობის საქმეშიც. უკვე დაიწყო ზრუნვა ეკლესიის პროექტის შედგენისათვის, მაგრამ მარტო იგი რას გახდება, თუ სოფლიდან წასულმა ინტელიგენციამ, ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშობლიური სოფლის აღორძინება, მხარი არ აუბა და პირადი დანაზოგებით, სპონსორობით (ვისაც ეს ხელეწიფება) ხელი არ შეუწყო დიდჯიხაიშელთა ნატვრის ახდენას.

სოფელში ასზე მეტი გვარის ოთხი ათასამდე მაცხოვრებელია, (მათ შორის ერთი მესამედი — ვაშაკიძეები). თითოეულის მიერ გაწეული პატარა წვლილი დიდად წაადგება ამ ღვთიურ საქმეს.

სამტრედიის ბანკში გახსნილია სოფლის საკრებულოს სპეცანგარიში № 14201. თანხის გადარიცხვისას უნდა აღინიშნოს „ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობისათვის“. თანხების გადარიცხვა დაწყებულია.

ძვირფასო თანამემამულენო, ველით თქვენს თანადგომას.

ღმერთმა ინებოს, მწიფექლიავისფერ საღამოს ნისლში მალე გამოჩენილიყოს ღვთისმშობლის ეკლესიის გუმბათი.

ზოია ვაშაკიძე.

წერილის ავტორმა ეკლესიის მშენებლობისათვის უკვე გადარიცხა ორი ათასი მანეთი.

სარედაქციო ფოსტიდან

ტურისტული ფირმა
«მუზა»
გეპატიჟებათ:

1. იტალიაში — ქ. კორლე — ვენეცია, დასვენებით ადრიატიკის ზღვაზე, 28 აგვისტო — 4 სექტემბერი, 4-11 სექტემბერი, ცხოვრება ზღვისპირა სასტუმროში, ორჯერადი კვებით, ექსკურსია ვენეციაში. მგზავრობა თვითმფრინავით. საგზურის ღირებულება 520 ამერ. დოლარი და 50 ათასი კუპონი. საბუთების წარმოდგენის ვადა 23 ივლისამდე.

2. ესპანეთში — პალმდე მალიორკა, დასვენებით ხმელთაშუა ზღვაზე, 21-28 აგვისტო, სამვარსკვლავიანი სასტუმრო, სამჯერადი კვება, მგზავრობა თვითმფრინავით. საბუთების წარმოდგენის ვადა 15 ივლისამდე. საგზურის ღირებულება 550 ამერ. დოლარი და 30 ათასი მანეთი.

ჩვენი მისამართია: ვაჟა-ფშაველას პრ. 45 მეტრო «დელისთან», საქსოფლმშენის შენობაში, მე-9 სართული ტელ: 38-91-84, 39-95-66.
ყოველდღე კვირის გარდა 11-დან 16 საათამდე.

ახალგაზრდებო!
სასწავლებლად გიწვევთ
თბილისის საფეიქრო კოლეჯი.

კოლეჯი ამზადებს მაღალკვალიფიციურ მრთველებს, მქსოველებს, მკერავებს, საფეიქრო წარმოების ინჟინრებს.

საფეიქრო კოლეჯი იქმნება არასრული საშუალო სკოლის (9 კლასის) ბაზაზე,
სწავლება ხორციელდება ორ ეტაპად:
1 ეტაპზე სწავლების ვადა ორი წელია

კოლეჯის 1 ეტაპის დამთავრების შემდეგ მოსწავლეებს მიეცემათ დიპლომი საშუალო განათლებისა და პროფესიის ჩვენებით, უზრუნველყოფილნი იქნებიან სამუშაოთი. ეძლევათ უფლება სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში.

2 ეტაპზე სწავლების ვადა ორი წელია

სწავლის გაგრძელების უფლება ეძლევათ 1 ეტაპის მაღალი აკადემიური მოსწრების კურსდამთავრებულებს. 11 ეტაპის დამთავრების შემდეგ იღებენ საფეიქრო წარმოების უმცროსი ინჟინრის წოდებას, დიპლომს კოლეჯის დამთავრების შესახებ.

კოლეჯში მიმდინარეობს აგრეთვე მიღება ერთწლიანი სწავლების ჯგუფებში. ჩაირიცხებიან საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები 30 წლის ასაკამდე. კოლეჯის ყველა მოსწავლე მიიღებს საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს, აგრეთვე სტიპენდიას 1500 მანეთის ოდენობით. სწავლების დრო ითვლება შრომის სტაჟად.

სწავლება დაიწყება 1 სექტემბერს.
საბუთები მიიღება ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა.
საფეიქრო კოლეჯის მისამართია: აკაკი წერეთლის გამზირი 134,
ტელეფონები: 34-09-65, 35-08-70,
ტრანსპორტი: ტროლეიბუსი 19, ტრამვაი 1, ავტობუსი 43, 210, 215, 209, მეტრო „დიდუბე“.

საფეიქრო კოლეჯის დირექცია

უახლოეს მომავალში
იხსნება
კაზინო «ივერია»

რომელიც საჭიროებს მომსახურე პერსონალს:
კარგი გარეგნობის მამაკაცებსა და ქალებს 18-დან 30 წლამდე, რომლებიც უნდა ფლობდნენ ინგლისურ ან ესპანურ ენებს.
მათ ეძლევათ ბრწყინვალე შესაძლებლობა დაეუფლონ პროფესიას.
დაინტერესებულ პირებს გთხოვთ მიმართოთ ბატონ სანტაკრუსს.
სასტუმრო «ივერია» - ში 17 ივნისიდან ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 11-დან 14 საათამდე.

საგარეო პოლიტიკის საერთაშორისო ასოციაცია
(სან-ფრანცისკო, კალიფორნია)
და თბილისის მენეჯერთა სკოლა

სტენფორდის უნივერსიტეტის, დევისის კალიფორნიის უნივერსიტეტისა და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსთან ერთად ახორციელებენ

საქართველოს მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების
პროგრამას (GMTP)

GMTP ითვალისწინებს ქართველ მენეჯერთა
3-თვიან სტაჟირებას კალიფორნიაში.

ამერიკელი სპეციალისტები ა.წ. ივლის-აგვისტოში თბილისის მენეჯერთა სკოლაში ჩაატარებენ ინტენსიურ სასემინარო კურსს, რომლისთვისაც შერჩეული იქნება 30 ქართველი მენეჯერი, მეწარმე და ბიზნესის სკოლების კურსდამთავრებული კვების მრეწველობის (კერძოდ მეღვინეობის), სამშენებლო და საერთო ბიზნესის დარგებიდან. სამკვირიანი სემინარის ბოლოს საუკეთესო თხუთმეტი მსმენელი მოიპოვებს აშშ-ში გამგზავრების (დაგეგმილია 27 აგვისტოსათვის) უფლებას. აშშ-ში ყოფნის სამთვიანი პროგრამა შეიცავს კალიფორნიის გეოგრაფიული და კულტურული ღირსშესანიშნაობების გაცნობას, დევისის (აგრობიზნესი) და სტენფორდის (საერთო და სამშენებლო ბიზნესი) უნივერსიტეტებში სამკვირიან სწავლების კურსებს და კალიფორნიის სხვადასხვა ფირმაში ორთვიან პრაქტიკას.

ვინაიდან პროგრამის მთავარი ნაწილი აშშ-ში ტარდება, GMTP- ში მონაწილეობისათვის დაიშვებიან მენეჯერები, რომლებიც გამოამჟღავნებენ ინგლისურად სათანადო დონეზე კითხვის, წერისა და საუბრის უნარს.

მონაწილეთა მგზავრობისა და მათი აშშ-ში სტაჟირების
თანხებს ამერიკული მხარე გაიღებს.
განცხადებები მიიღება ა.წ. 1 ივნისამდე.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ თბილისის
მენეჯერთა სკოლას.

მისამართი: ვაჟა ფშაველას პროსპექტი N40.
ტელეფონები: 39-11-30, 39-34-61, 37-55-16.

საქართველოს ეროვნული სოციალურ-ტექნოლოგიური უნივერსიტეტი აცხადებს

აბიტურიენტთა მიღებას 1993-94 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:
1. კომერსანტ-მენეჯერი;
2. ფინანსისტ-ექსპერტი;
3. ალკოჰოლური სასმელების ტექნოლოგია;
4. ხილ-ბოსტნეულისა და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია;
5. გამოყენებითი ხელოვნება.

საბუთების მიღება იწარმოებს უმაღლესი სასწავლებლების მოთხოვნათა შესაბამისად 1 ივლისიდან 15 აგვისტომდე, ყოველდღე 10 სთ-დან 17 სთ-მდე; თბილისი, ფალიაშვილის 59; 54-ე საშუალო სკოლა, ტელ.: 22-11-56.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ვიზიტად საბერძნეთში

გუშინ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი ოფიციალურ ვიზიტად საბერძნეთში ჩავიდა, რომლის მსვლელობაში ხელმოწერილი იქნება ორ სახელმწიფოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. ორივე მხარე იმ აზრისაა, რომ რუსეთის სახელმწიფოს მეთაურის პირველი ვიზიტი ხელს შეუწყობს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობის განვითარებას, რომელსაც ფესვები საუკუნეებში აქვს გადგმული, საბერძნეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ძანის ძანეტაკისის განცხადებით რუსეთი ყოველთვის იყო ბერძენთა მოკავშირე მათი თავისუფლებისათვის ბრძოლაში. მოელიან, რომ ბორის ელცინის შეხვედრებზე პრეზიდენტ კარამანლისთან და პრემიერ-მინისტრ მიცოტაკისთან მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს მშვიდობის უზრუნველყოფა ბალკანეთში, რომ ამ საკითხში რუსეთისა და საბერძნეთის პოზიცია პრაქტიკულად იდენტურია. ბორის ელცინი შეხვდება აგრეთვე ბიზნესმენებსა და უმსხვილესი ოპოზიციური პარტიის — სრულიად საბერძნეთის სოციალისტური მოძრაობის ლიდერს ანდრეას პაპანდრეუს.

ორი პრეზიდენტის სატელეფონო საუბარი

ორშაბათს გაიმართა 80 წუთიანი სატელეფონო საუბარი რუსეთის პრეზიდენტ ბორის ელცინსა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბილ კლინტონს შორის. ბილ კლინტონმა ბორის ელცინს უთხრა, რომ ტოკიოში 7-9 ივლისის „დიდი შვიდეულის“ შეხვედრაზე მოიწონებენ რუსეთისათვის რეფორმების გატარების „დახმარების სოლიდურ პაკეტს“.

ახალი შეთანხმება

ხარკოვში რუსეთისა და უკრაინის პრემიერ-მინისტრებმა ვიქტორ ჩერნომირდინმა და ლეონიდ კუჩმამ ხელი მოაწერეს ეკონომიკური თანამშრომლობის შეთანხმებას. იგი ითვალისწინებს თავისუფალი სამომხმარებლო ზონის შექმნას, საბანკო ოპერაციების ერთობლივ რეგულირებას და მუშათა თავისუფალ გადაადგილებას რუსეთ-უკრაინის საზღვრის ორივე მხარეზე ხუთ-ხუთ ოლქში. შეთანხმდნენ აგრეთვე უკრაინაში განლაგებული შორი მანძილის ბირთვული რაკეტების დემონტაჟის წესის შესახებ.

მოლაპარაკება

სამდღიანი შესვენების შემდეგ ვაშინგტონში განახლდა ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების არაბეთ-ისრაელის მოლაპარაკება. ჭირჭირობით ისრაელის, იორდანიის, ლიბანის, სირიისა და პალესტინელთა წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს თავიანთი პოზიციების დაახლოება. ვაშინგტონის მოლაპარაკების ეს უკვე მეათე რაუნდი ხუთშაბათს უნდა დამთავრდეს. ვაშინგტონი მოელის, რომ დელეგაციები შეძლებენ გარკვეულად წაიწიონ წინ პოზიციების ურთიერთშეთანხმების გზაზე და ამ მიზნით მოლაპარაკებაში უშუალოდ ჩართო სახელმწიფო მდივანი უორენ კრისტოფერი.

კლინტონი კმაყოფილია

პრეზიდენტი ბილ კლინტონი ფრიად კმაყოფილია იმ „უდიდესი“ საერთაშორისო მხარდაჭერით, რომელიც გაუწიეს ამერიკის აქციას ბაღდადის წინააღმდეგ, განაცხადა ორშაბათს თეთრ სახლში გამართულ რეგულარულ ბრიფინგზე ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დი დი მაიერსმა. იმ ქვეყნებს შორის, რომლებმაც მხარი დაუჭირეს შეერთებულ შტატებს, მან დაასახელა რუსეთი და ევროპის სხვა წამყვანი სახელმწიფოები.

თეთრი სახლის პრესმდივნის თქმით, შეერთებული შტატების პოზიცია ერაყის მიმართ განისაზღვრება „ამ ქვეყნის ქცევით“. ჩვენ არ გვჯერა, რომ ბაღდადის ქცევა შეიცვლება, სანამ ხელისუფლების სათავეში სადამ ჰუსეინი იმყოფება“, — აღნიშნა დიდ მაიერსმა.

გააფრთხილა ერაყი

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ ერაყს შეახსენა ერაყ-ქუვეითის საზღვრების ურღვევობა და გააფრთხილა, რომ ნებისმიერ მის დარღვევას სერიოზული შედეგები მოჰყვება. ეს ნათქვამია განცხადებაში, რომელიც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ იანიეს — ბარნუევომ (ესპანეთი) გააკეთა ორშაბათს გამართულ საბჭოს სხდომაზე.

უშიშროების საბჭომ, აღნიშნა იანიეს — ბარნუევომ, განსაკუთრებული შეშფოთებით აღიქვა ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი გაეროს გენერალური მდივნისადმი, რომელშიც მან ერაყს და ქუვეითს შორის საზღვრის დემარკაციის კომისიას ბრალად დასდო მის მუშაობაში არსებული დიდი ნაკლოვანებანი.

მოსახლეობის რიცხვმა 5 მილიარდს გადააჭარბა

1991 წლის შუახანებში მსოფლიოს მოსახლეობის რიცხვმა 5,4 მილიარდი შეადგინა. ეს ნათქვამია ორშაბათს ერთა გაერთიანების შტაბბინაში გავრცელებულ „გაეროს სტატისტიკური წელიწდეულის“ ახალ გამოცემაში.

გაეროს მონაცემებით, მსოფლიოში მოსახლეობის ყოველწლიურმა მატებამ 1985-1990 წლებში შეადგინა 1,7 პროცენტი, ხოლო 1980-1990 წლებში იგი გაიზარდა 19 პროცენტით. 80-იანი წლების შუახანებიდან 90-იანი წლების შუახანებამდე მსოფლიო მოსახლეობა 441 მილიონით გაიზარდა. ყველაზე სწრაფი ზრდა შეინიშნება აზიაში (278 მილიონი), აფრიკაში (89 მილიონი) და ლათინურ ამერიკაში (44 მილიონი).

მდგომარეობა აზერბაიჯანში

რუსეთის რადიოს ცნობით პოლკოვნიკ სურეთ ჰუსეინოვის ჯარებმა დატოვეს ბაქოს მიდამოები და მთიან ყარაბაღს მიაშურეს, სადაც საომარი მოქმედების რაიონში სიტუაცია მკვეთრად გაუარესდა. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს ცნობით სომეხთა ჯარებმა ხელში ჩაიგდეს ქალაქი აგდერე და ქალაქ აგდამს მიუახლოვდნენ. ჰუსეინოვმა განაცხადა, რომ დადგა დრო გააერთიანონ მთელი ძალები და დაიწყოს აზერბაიჯანის მიწების განთავისუფლება. ბაქოში გამართულ შეხვედრაზე ჰუსეინოვმა და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ჰეიდარ ალიევმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აზერბაიჯანში სიტუაციის სტაბილიზაცია და გადაუდებელი ამოცანების გადაჭრა მხოლოდ ეროვნული თანხმობის ვითარებაშია შესაძლებელი. ჰეიდარ ალიევი შეუდგა ხელისუფლებიდან ჩამოცილებული პრეზიდენტის აბულფაზ ელჩიბეის კადრების სამუშაოდან განთავისუფლებას.

გაიმართება მორიგი შეხვედრა

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ჩრდილოეთ კორეამ მოილაპარაკეს 14 ივლისს განაახლონ მოლაპარაკება ჟენევაში. მოლაპარაკების წინა რაუნდზე ნიუ-იორკში ფხენიანი დათანხმდა შეაჩეროს თავისი გადაწყვეტილება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოსვლის შესახებ. მოლაპარაკებაზე ჟენევაში განიხილავენ მთელი კორეის ნახევარკუნძულის უბირთვო სტატუსის საკითხს.

თითო აბზაცით

ივლისის დამდეგს მსოფლიოს შვიდი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნის ხელმძღვანელთა შეხვედრაზე მიღწეული არ იქნება არავითარი მორიგება იმ შემთხვევაში, თუ ამერიკის შეერთებული შტატები წინასწარ არ გააუქმებს მის მიერ ცალმხრივი წესით შემოღებულ ლიმიტებს, რომლებიც ზღუდავენ ამ ქვეყანაში ფოლადის, კერძოდ, ფრანგული წარმოების ფოლადის შეტანის შესაძლებლობებს. ასეთი აზრი გამოთქვა ორშაბათს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ედუარდ ბალადიურმა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სანქციების მიუხედავად ერაყმა მნიშვნელოვანწილად აღადგინა თავისი სამხედრო პოტენციალი და განაგრძობს მეცადინეობას საზღვარგარეთიდან ზუსტი ტექნოლოგიების მისაღებად. ასეთ დასკვნას შეიცავს მოხსენება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის საგარეო საქმეთა საერთაშორისო უშიშროების კომიტეტის საკითხების ქვეკომიტეტმა მოიწონა.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მივიღეთ დახმარება აზერბაიჯანიდან

საქართველომ აზერბაიჯანისაგან დიზელის სათბობის შესაძენად მიიღო ტექნიკური კრედიტი სამი მილიარდი მანეთის ოდენობით. მაგრამ დღის წესრიგიდან არ იხსნება ამ სახეობის სათბობის დეფიციტის პრობლემა. მეორე მხრივ, სახელმწიფო კონცერნის „საქნავთობპროდუქტის" თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ კიკნაძის აზრით, რესპუბლიკა მნიშვნელოვნად დააღწევდა თავს საწვავ-საპოხი მასალების ნაკლებობის გამო შექმნილ კრიზისულ სიტუაციას, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციები ჯეროვნად რომ აკონტროლებდნენ, როგორც რესპუბლიკურ ბაზარზე ფასწარმოქმნას, ასევე მეზობელ სომხეთში საწვავის უკანონო ექსპორტსაც.

— საიდუმლო არ არის, — თქვა მან, — რომ ბენზინი რესპუბლიკაში შემოდის იმ ფასად, რომელიც 150-170 მანეთს არ აღემატება ნაღდი ანგარიშსწორებით. თავის მხრივ, კონცერნს არა აქვს ნაღდი ფული და ამიტომ ვერ უწევს კონკურენციას კერძო ფირმებს.

სავალუტო ოპერაციების უფლება

[illegible] ვალუტის ყიდვა-გაყიდვის უფლების ლიცენზიები, რესპუბლიკის 48 სხვადასხვა კომერციული ბანკის გარდა, რომლებმაც უკვე მიიღეს ისინი საქართველოს ეროვნული ბანკისაგან, შეიძლება შეიძინონ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მოქმედმა სხვა ორგანიზაციებმაც და იურიდიულმა პირებმა, რომლებსაც საქართველოს მოქალაქეობა აქვთ. ამასთან მოგების 45 პროცენტი ჩაირიცხება სახელმწიფო ბიუჯეტში.

— კერძო სავალუტო ჯიხურების მფლობელებმა სასწრაფოდ უნდა მიმართონ საქართველოს ეროვნულ ბანკს ამგვარ ოპერაციათა წარმოების უფლების მისაღებად, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო-ეკონომიკური სამმართველოს უფროსმა ლევან ქისტაურმა. — სხვაგვარად თვითმარქვია ვალუტის გასაცვლელი პუნქტების საქმიანობა უკანონოდ ჩაითვლება. გამოვთქვამთ იმედს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საგადასახადო ინსპექციის დეპარტამენტი, ბოლოს და ბოლოს, გამოიჩენენ ამ საკითხში სათანადო პრინციპულობასა და მომთხოვნელობას, და აღკვეთენ ამგვარ დარღვევებს.

ჩაის ფაბრიკა მისახედია!

ჭიათურის ზონის სოფლებში გაშენებული ჩაი საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლებით ხასიათდება.

შარშან საზოგადოებრივმა სექტორმა 854 ტონა ფოთოლი ჩააბარა ჭიათურის ჩაის ფაბრიკას, საიდანაც 213 ტონა მაღალხარისხოვანი პროდუქცია დაამზადეს.

— ჭიათურის ჩაის ფაბრიკა ამჟამად საიჯარო საწარმოა გამოსყიდვის უფლებით, — ამბობს ჩაის ფაბრიკის დირექტორი თემურ ქავთარაძე, — კოლექტივის გადაწყვეტილებაა, ვიდრე საწარმოს პრივატიზაცია მოხდება, ჩამოყალიბდეს იგი დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულად ქალაქ ჭიათურის დაქვემდებარებაში. ფაბრიკის საშუალო სადღეღამისო წარმადობა 16 ტონაა, არ გვაქვს სარეზერვო ღუმელები, რომ ჭარბი პროდუქციის მიღების დროს არ მოხდეს მისი დაყოვნება და ხარისხის დაქვეითება.

მართლაც, ჭიათურის ჩაის ფაბრიკას ძალზე მოძველებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აქვს. არადა, ხუთი წლის წინ მიღებული ძვირადღირებული მანქანა-დანადგარები ღია ცის ქვეშ აწყვია და მწყობრიდან გამოდის. ჩაის ფაბრიკის ხელმძღვანელობამ არაერთხელ მიმართა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს დახმარებისათვის, მაგრამ ჯერჯერობით — უშედეგოდ.

აქ დასაქმებულ მუშებს ამორტიზებულ შენობაში უხდებათ საქმიანობა, ეს კი თანდათან სახიფათო ხდება — ჭერიდან წამდაუწუმ ცვივა ბათქაში და ბეტონის ნამტვრევები.

წელს ჭიათურის ჩაის ფაბრიკა 900 ტონა მწვანე ჩაის ფოთოლს გადაამუშავებს და 225 ტონა მაღალხარისხოვან პროდუქციას მიიღებს. მწარმოებელს კი 1 კილოგრამ ჩაიში 100 მანეთს გადაუხდის.

მოთხოვნები და ამოცანები იზრდება, ჩაის ფაბრიკის მატერიალური ბაზა კი დღითიდღე მწყობრიდან გამოდის და მშველელს ელოდება.

სოზარ კუპატაძე.

ოკრიბა
OCRIBA

ახალი გაზეთი

კიდევ ერთი ახალი გამოცემა მიიღო მკითხველმა — გაზეთი „ოკრიბა". მისი დამფუძნებელია საქველმოქმედო საზოგადოება „ოკრიბა", მთავარი რედაქტორი — **გივი გოგიძე**.

გაზეთის არსი და მიზანია ხელი გაუმართოს საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობის გააქტიურებას, ოკრიბის მკვიდრი ჩვენი წინაპრების ტრადიციების გაცოცხლებას, თანამედროვეთა წარმოჩენას, სოციალურ სფეროში არსებული საკითხების მოგვარებას, ოკრიბის მდიდარი ისტორიის გაცნობას...

პირველ ნომერში ბევრ საინტერესო მასალას წააწყდება მკითხველი. გაზეთი ყოველთვიურია, რვაგვერდიანი.

გზა დაულოცოს „ოკრიბას".

ЕСЛИ ХОТИТЕ КУПИТЬ КВАРТИРУ, ПРОЧТИТЕ ЭТО ОБЪЯВЛЕНИЕ

Продаются в собственность двух- и трёх-комнатные квартиры в ближайшем Подмосковье (9 км. от москвы) в новом доме.

Контактные телефоны: (095) 441-05-37
374-65-03
208-93-47
337-30-31

მსოფლიო მოგზაურობა

ჩრდილოეთის
ჩრდილოეთ ამერიკა
აფრიკა
სამხრეთ ამერიკა
ინდოეთის ოკეანე
ანტარქტიდა

წელს 13 აგვისტოს, პარასკევს დილით ქალაქ რუსთავის მერაბ კოსტავას სახელობის მოედნიდან დედამიწის გარშემო, მსოფლიოს 220 ქვეყანაში ველოსიპედით მარტოდმარტო სამოგზაუროდ გაემგზავრება გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, 54 წლის ინჟინერი ჯუმბერ ლეჟავა.

1986 წელს მან გადაიტანა ორი უმძიმესი ოპერაცია — ნაწლავების განგრენით დაავადების გამო. მკურნალმა ექიმებმა უკეთეს შემთხვევაში უწინასწარმეტყველეს მუდმივი ინვალიდობა. ჯუმბერ ლეჟავამ კი შესაშური ნებისყოფითა და დაუღალავი შრომით სულ მოკლე ხანში განაცვიფრა ქვეყნიერება: 1990 წლიდან 1993 წლამდე დაამყარა წოლილა მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვების მრავალი გინესისა და მსოფლიო რეკორდი.

დიახ, ჯუმბერ ლეჟავას მკლავებზე აზიდვების ერთსაათიანი რეკორდია 5011 აზიდვა; შესვენების გარეშე 6-საათიანისა — 19376; 12-საათიანისა — 34955; 24-საათიანისა — 44141; 1-საათიანი მუცლის პრესის ვარჯიში უწყვეტ რეჟიმში ანუ წოლილა მდგომარეობიდან ზედა წელის წამოწევა 90 გრადუსამდე 2806; 100-დღიანი ანუ მარათონულისა — ყოველდღიურად საშუალოდ 17000 აზიდვა; ამ აზიდვების ჯამი — 1 717 300; 1990 წლის ჯამური შედეგი 4 800 000.

— ასეთი ფანტასტიკური შედეგები მსოფლიომ არ იცის: სულ ცოტა ხნის წინათ სარეცელს მიჯაჭვული ვაჟკაცი, ერთგული მეუღლე, ორი ქალიშვილის მამა და ოთხი შვილიშვილის პაპა, ყოველდღე, როგორც წესი, 10-12 ათასჯერ აიზიდება.

ამ მიღწევების შემდეგ რეკორდსმენმა ორი ახალი ამოცანა დაისახა: საქართველოს დედაქალაქ თბილისში აამოქმედოს ახლებური სარეაბილიტაციო ცენტრი, რომელიც მისებრ უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნილთა სულიერ და ფიზიკურ გამოჯანმრთელებას მოემსახურება, და, მეორე — ველოსიპედით მარტოდმარტომ მოიაროს აზიის, ავსტრალიის, ოკეანიის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და ევროპის ყველა ქვეყანა.

ბატონი ჯუმბერ ლეჟავა მოგზაურობის, ძიებისა და თავგადასავლის ტრფიალია: სხვადასხვა დროს ფეხით, ცხენით, ნავით, ველოსიპედით, მოტოციკლით თუ მანქანით ევრაზიის მრავალი ქვეყანა მოუვლია;

გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით ტომი ჩემბერსის (1903-1984) სარეკორდო მსოფლიო ველომოგზაურობა დაიწყო გლაზგოში (შოტლანდია), 1922 წელს და... აქვე 1973 წლის 25 დეკემბერს ანუ 51 წელიწადში 1.286.517 კილომეტრის გავლით დაგვირგვინდა.

ასევე დიდი ველოტურისტული მარშრუტი — 643700 კილომეტრი — 1959 წლის 24 იანვრიდან 1976 წლის 12 დეკემბრამდე გაავლილი აქვს უოლტერ სტილს (დაბ. 1926) — რომფორდიდან (ესსექსი, დიდი ბრიტანეთი) დაწყებული მან ლექციების კითხვით მოიარა 159 ქვეყანა. დაბოლოს, ვანკუვერელმა (კანადა) ჯონ ვ. სატაუიმ (დაბ. 1925) 1974 წლის 10 ნოემბრიდან 1976 წლის 6 ოქტომბრამდე დაძლია ყველა კონტინენტის 81300 კილომეტრი.

რაც შეეხება ქართველ მოგზაურს, ზემოდასახელებული შოტლანდიელი, ინგლისელი თუ კანადელი ველომოგზაურებისაგან განსხვავებით 5-6 წელიწადში განზრახული აქვს ველოსიპედით დედამიწის გარშემოვლა ყველა კონტინენტის ყველა სახელმწიფოთა (თვით ოკეანის გაფანტული ქვეყნების) ჩათვლით.

უშიშარ ქართველ ველომოგზაურს ხმელეთით მოუწევს 175 ათასი კილომეტრის, ხოლო ზღვით — 75 ათასის გადალახვა, მის მიერ გასავლელი მანძილი 250 ათასი კილომეტრი ბევრად აღემატება უცხოელ ველომოგზაურთა მონაცემებს, როგორც სახელმწიფოთა რიცხვით, ისე დროის მონაკვეთში გავლილი მანძილის მიხედვით.

მას განზრახული აქვს მოაწყოს საჩვენებელი გამოსვლები და ლექციები და დედამიწის ზურგზე [illegible] ადამიანთა მასობრივი გამოჯანმრთელების ნაცადი და ყველასათვის ხელმისაწვდომი მკლავებზე აზიდვების ვარჯიშის სახეობა. ამასთანავე დაინტერესებულ საზოგადოებას მიაწოდოს განცდილის, ნანახისა და მოსმენილის ამსახველი საგულისხმო წერილები, შექმნას ორიგინალური წიგნი და ვიდეოფილმი, რომელთა ავტორი, მხატვარი, ოპერატორი და რეჟისორიც თვითონვე იქნება.

ბატონმა ჯუმბერ ლეჟავამ თავის ველოსიპედს უწოდა „მერანი". მოგზაურობას „საქართველო-კავკასიის ჯორჯია, 1993". ხოლო დევიზად აირჩია სიტყვები: „ადამიანებო, ვილაღწოთ უიარაღო, აყვავებული დედამიწისათვის!" და დიდი შოთა რუსთაველის აფორიზმი: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისსა მტერია!".

საგულისხმოა, რომ ეს ურთულესი ველომარათონი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში დამოუკიდებლად და თავისუფლად არსებული საქართველოს სახელმწიფოს 117 წლის ანექსიის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს 1918 წლის 26 მაისს ეძღვნება და ამ დიადი თარიღის 75-ე და მე-80 საიუბილეო თარიღებს შორის განხორციელდება. იგი, უთუოდ, საქართველოს, როგორც გაეროს 179-ე წევრი — სახელმწიფოს ისტორიისადმი მსოფლიო საზოგადოებრიობის დაინტერესების ერთი ცოცხალი მაგალითი იქნება.

ჯუმბერ ლეჟავას — საქართველოს არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა კლუბის პრეზიდენტს, საერთაშორისო არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტს თავისი არაჩვეულებრივი მისიის განხორციელებაში გენერალურ სპონსორობას გაუწევს ქალაქ რუსთავის განვითარებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობის ცენტრი, ილია ვეკუას სახელობის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი, თბილისის უნივერსიტეტი, ფირმა „ლოგოვაზი" და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებები.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მიზანს მხურვალედ გამოეხმაურნენ უკრაინელი მეგობრები — ხარკოვის ველოსიპედის ქარხანაში შექმნეს სპეციალური ველოსიპედი.

მოგზაურობის მომზადებისა და მოწყობის იდეას აქტიურად უჭერენ მხარს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისია და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

გვანჯი მანია.

P. S. საქინფორმის საშუალებით გავრცელებული ზემოთმოტანილი ინფორმაციის კვალდაკვალ მსოფლიო მოგზაურობის პრესცენტრიდან მივიღეთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულ აგრომრეწვბანკში გაიხსნა გინესის მრავალგზის რეკორდსმენის ჯუმბერ ლეჟავას პირადი ანგარიში: სამანეთო № 000704712, სავალუტო № 002070986, კოდი 1521705, საკორესპონდენტო ანგარიში — 400167812.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის ინფორმაციული სისტემებისა და ახალი ტექნოლოგიების განყოფილების გამგეს დაუვიწყარი შეხვედრა მოუწყვეს კოლეგებმა ამავე კომიტეტში და... საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში;

მოსკოვიდან მიღებულია ინფორმაცია, რომ გინესის წიგნის ახალ გამოცემაში შეტანილი იქნება ქართველი რეკორდსმენის ყველა — თერთმეტივე რეკორდი (!)

და, რაც მთავარია, დღეს, 30 ივნისს, დილის 10 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიის, მოგზაურობის გენერალური სპონსორების და მოგზაურობით დაინტერესებული სამინისტროების და უწყებების გაერთიანებული სხდომის განხილვის საგანი იქნება საორგანიზაციო საკითხები.

საბილიარდო სპორტის პატრიარქი

საქართველოს სპორტულმა საზოგადოებრიობამ აღნიშნა ბილიარდში რესპუბლიკის პირველი ჩემპიონის გივი კობოსნიძის 60 წელი. იგი საქართველოში ამ სახეობის პირველი სპორტის ოსტატი იყო. მას არაერთგზის გაუმარჯვია ჩვენი ქვეყნისა და სსრ კავშირის ჩემპიონატებში, დიდი წვლილი შეიტანა ბილიარდის პოპულარიზაციასა და განვითარებაში. სამწუხაროდ, ბილიარდს დიდი ხნის მანძილზე სრულუფლებიან სპორტის სახეობად არ ცნობდნენ საბჭოთა სპორტული ფუნქციონერები.

ამის მიუხედავად, გივი კობოსნიძე მუდამ იყო ბილიარდის ერთგული. შეუხამა რა ახალგაზრდა თაობათა აღზრდას სხვა სახეობის სპორტში საქმიანობა, იგი რესპუბლიკის დედაქალაქში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ერთ-ერთი ორგანიზატორი გახდა, შემთხვევითი როდია, რომ იგი ახლა მუშაობს ქალაქ თბილისის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ამ კომიტეტში გამართულ დარბაზობაზე მისმა თავმჯდომარემ ვლადიმერ კანკავამ გივი კობოსნიძეს გადასცა თბილისის მერიის საპატიო სიგელი და სამახსოვრო საჩუქრები. იუბილარს გულთბილად მიესალმნენ ქალაქის მერიისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები, რომლებმაც უსურვეს წარმატებანი ქართველ სპორტსმენთა ახალი თაობების აღზრდაში.

გულმოწყალება

გაიხარეთ, რომ გაგვახარეთ

ის დღე ალბათ დიდხანს ეხსომებათ თბილისის დიდუბის რაიონის მარტოხელა მოხუცებს.

ამდენმა გაჭირვებამ, პირადმა თუ საქვეყნო სატკივარმა, ომმა და სისხლისღვრამ ისინი სიცილს კი არა, ღიმილსაც გადააჩვია. მაგრამ იმ დღეს წუთიერად ყველაფერი დავიწყებოდათ — დიდუბის რაიონის გამგეობის სასადილოში ტკბილეულობით გაწყობილ სუფრას შემოსხდომოდნენ და იღიმებოდნენ, ერთმანეთთან საუბრით ხომ გული იჯერეს და იჯერეს...

ეს შეხვედრა მარტოხელებს გამგეობამ მოუწყო. გულთბილად მიესალმნენ სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდს, სამედიცინო სამსახურის გადამდგარ კაპიტანს, 81 წლის ქალბატონს ელენე საყვარელიძესა და სხვებს. თითქოს წლები უკან მობრუნებულანო, ყველა გაახალგაზრდავებულად და ლამაზად გამოიყურებოდა. ასე იცის კეთილი ადამიანების თანადგომამ, სითბომ და სიყვარულმა... სტუმრები საწარმოო გაერთიანება „ჩარხმშენებლის" ქორეოგრაფიული ანსამბლის „სამეზა" ცეკვებით მოიხიბლნენ, ეს ტკბილეული, სუფრაზე უხვად რომ ელაგა, „თბილკონდიტერის" გენერალურმა დირექტორმა ვ. ცაგარეიშვილმა გამოუგზავნა. მას არც ფირმა-19 „თბილისი-91"-ის პრეზიდენტი მ. ვარხანია და რაიონის სურსათვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილე ჯ. შეხდელიანი ჩამორჩნენ... გამგეობამ მათთვის 100 ათასი კუპონი გამოჰყო. თითოეულს საჩუქრად 1000-1000 კუპონი გადაეცა.

დიდუბის რაიონში სულ 460 მარტოხელაა. ამათგან 150-ს ბინაზე ემსახურებიან. რაიონის გამგეობის სოციალურუზრუნველყოფის განყოფილების გამგე ფრიდონ ხაჟომია, სოციალური განყოფილების გამგე ლალი ჯავახიშვილი და მისი მუშაკები ქეთევან სინჯარაძე, ელეონორა ფაცაიშვილი, ნუნუ ყურაშვილი და სხვები მათ ყურადღებას და სითბოს არ აკლებენ. ზოგს შინ სადილს, პროდუქტებს უზიდავენ, ზოგს ბინის ქირას უხდიან, ზოგსაც უფასოდ სასადილოებსა და სახაბაზოებზე აპიროვნებენ, პერიოდულად ფულად დახმარებას აძლევენ. ერთი სიტყვით, მხარში უდგანან, მარტოობას არ აგრძნობინებენ... ახლაც, ამ შეხვედრაზეც სწორედ ეს თანადგომა იგრძნობოდა.

— გაიხარეთ, რომ გაგვახარეთ...

— საჩუქრებზე მეტად თქვენმა ყურადღებამ გაგვახარა...

— მე დღეს ძალზე ბედნიერი ვარ...

— ხვალინდელ დღეზე აღარ ვფიქრობ. ეს ახალგაზრდები ნამდვილად ჩვენთვის მოვლენილი ანგელოზები არიან...

— მადლობელი ვართ ყველაფრისათვის...

შუაში მოექციათ ბატონი ფრიდონი და ქალბატონი ლალი და აღარ იცოდნენ როგორ, რა სიტყვებით გამოეხატათ მადლიერების გრძნობა.

ლაურა ძიძამიძე.

ზურაბ ფორჩხიძე



ქართველ მხატვართა საზოგადოებას გამოაკლდა საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის პროფესორი, გამოყენებითი გრაფიკის კათედრის გამგე ზურაბ ფორჩხიძე.

იგი 1934 წელს დაიბადა ქუთაისში. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1962 წლიდან უკანასკნელ დღემდე ეწეოდა აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას. ქართული წიგნის მოამაგე, ქართველ მწერალთა მეგობარი ბატონი ზურაბი სისტემატურად თანამშრომლობდა მთელ რიგ საგამომცემლო თუ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებთან, მულტფილმების სტუდიასთან და სხვა. მას განსაკუთრებით უყვარდა იდუმალებით აღსავსე, ფანტასტიკური არსებებით დასახლებული ზღაპრის სამყარო და თავადაც ზღაპრიდან გადმოსული გმირივით, სპეტაკი ბუნების, უშუალო, სიკეთით აღსავსე ხალისიანი ადამიანი იყო. შემოქმედებითი და პიროვნული თვისებების ამ ერთიანობის საფუძველზე შექმნილი ზურაბ ფორჩხიძის მხატვრული ქმნილებები და მის მიერ დასურათხატებული ქართული თუ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებები ჩვენი მოზარდი თაობის საყვარელ წიგნებს წარმოადგენენ.

ზურაბ ფორჩხიძის შემოქმედება მისსავე სიცოცხლეში მრავალჯერ იქნა აღნიშნული სხვადასხვა საპატიო ჯილდოთი და პრიზებით, მაგრამ გვჯერა, რომ მომავალი შეაფასებს ჯეროვნად მის უაღრესად საინტერესო და მრავალმხრივ მხატვრულ მემკვიდრეობას. მით უფრო დასანანია, რომ შემოქმედებითი სიმწიფის მწვერვალზე შეწყვიტა ლამაზი სიცოცხლე და თან გაიყოლა ბევრი განუხორციელებელი ოცნება.

ზურაბ ფორჩხიძის — კეთილშობილი ადამიანის, ჭეშმარიტი მამულიშვილის, კარგი პროფესიონალის, ერთგული მეგობრის, მოსიყვარულე მეოჯახის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მისი კოლეგების, მოწაფეებისა და ახლობლების გულებში.

თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; საქართველოს კულტურის სამინისტრო; საქართველოს მხატვართა კავშირი.

LGV

ფირმა «ლგვ» გთავაზობთ ორგანიზაციებსა და კერძო პირებს როგორც ნაღდ ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით ორი სახის მაღალხარისხოვან წებოს, მინიმალური რაოდენობა 10 კგ.

1. წებო ჰერმეტიკი — გამოიყენება პარკეტის, ლინოლიუმის, ქვის, მინის დასაწებებლად. არის საუკეთესო საშუალება სველი წერტილების ჰერმეტიზაციისათვის.
2. წებო უნივერსალი — გამოიყენება ფეხსაცმლის წარმოებაში ტყავისა და რეზინის დასაწებებლად.
3. ფირმა «ლგვ» ასევე გთავაზობთ უცხოური წარმოების ტელექსს.

ჩვენი მისამართი: თბილისი, კანდელაკის ქ. 27
ტელეფონი: 37-15-40, 37-42-10, 39-32-37.
ფაქსი: 37-42-04.

ყურადღება! ყურადღება!

ნევროზების ცენტრის (დირექტორი მამუკა მაკარიძე) თანამშრომელმა, მაღალკვალიფიციურმა ფსიქოთერაპევტმა გივი მაზმიშვილმა განაახლა გამაჯანსაღებელი ფსიქოკორექციული სეანსები ჭადრაკის სასახლეში (ვერეს ბაღში) — გასული წლის დეკემბრის თვიდან.

დღეს საქართველოს ძალიან უჭირს, ადამიანი ნერვიული სტრესებისაგან ფსიქოზამდეა მისული. ამ უმძიმესი ფსიქოლოგიური მოვლენებისაგან თავის დაღწევა შესაძლოა ფსიქოთერაპიულ-ფსიქოკორექციული მკურნალობის საშუალებით. ქართველ ხალხს ასეთ მკურნალად და მშველელად მოევლინა ფსიქოლოგ-ფსიქოთერაპევტი გივი მაზმიშვილი — მკურნალი, რომელიც უკვე მრავალი წელია ჯგუფურ სეანსებზე სიტყვიერი შთაგონებითი მეთოდით აღწევს ფანტასტიკურ შედეგებს ისეთ დაავადებებზე, როგორიცაა: ნევროზი და მისი თანხმლები მოვლენები, აკვიატებული ფიქრები, აზრები, შიშები, ეჭვები, უნებლიე მოძრაობები, ენის ბორძიკი, უნებლიე შარდვა, ზედმეტი წონა, აკვიატებული მავნე ჩვევები, თამბაქოს წევა, უძილობა, რადიკულიტი, ქალური ანთებები, პროსტატიტი, სოკოვანი დაავადება, ბრონქული ასთმა, მსუბუქი ფორმის დიაბეტი, წყლულოვანი დაავადებები, ბუასილი და კიდევ მრავალი სხვა.

გივი მაზმიშვილის ჯგუფური ფსიქოკორექციული სეანსები მობილიზაციას უწევს ადამიანის ორგანიზმში არსებულ დამცველ ძალებს სხვადასხვა დაავადების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ორგანიზმის გაჯანსაღების საწინდარია.

გივი მაზმიშვილის სამკურნალო ჯგუფურ სეანსებზე კიდევ ბევრ საინტერესო, სასიკეთო მოვლენებთან გექნებათ საქმე და დაუჯერებელს დაიჯერებთ.

ნუ დაკარგავთ დროსა და შემთხვევას, იჩქარეთ სეანსებზე დასასწრებად, რათა აღიდგინოთ დაკარგული ჯანმრთელობა.

სეანსებზე დასწრება წარმოებს ექიმების მიერ წინასწარი შერჩევა-შემოწმებითა და ჩაწერით.

მისამართი: ჭადრაკის სასახლე (ვერეს ბაღი).
სეანსები ტარდება ყოველდღე, დილით 10-დან 12 საათამდე.

ნევროზების ცენტრი.

გაზეთ „მშობლიური კერის" ფურცლებზე

და... დღე ყოველი!

სრულიად საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის გამგეობის მიმართვა

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

მოგეხსენებათ, ყოველი წლის **პირველი ივნისი** ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ამ დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნორჩი თაობის ყველა საზრუნავსა და სატკივარს.

საზრუნავი და სატკივარი კი იმდენია, პირველ ივნისთან ერთად **დღე ყოველი** წელიწადისა ჩვენს ბავშვებს რომ დაეთმოს, მაინც არ იქნება საკმარისი.

სრულიად საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის კეთილ საქმეთა ქრონიკა ძირითადად აღნუსხულია გაზეთ „მშობლიური კერის" ფურცლებზე. დაინტერესებულ მკითხველს, მსმენელსა და მაყურებელს უკანასკნელ ხანებში ობიექტურ ინფორმაციას აწვდიან რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები, რისთვისაც მათ გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

საბავშვო ფონდს ბევრი შემწე და კეთილი მეგობარი ჰყავს. შეგვიძლია გადაუჭარბებლად ვთქვათ, რომ ყველა მათგანი საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებზე არანაკლებ იღვწის ობოლ და მშობლიურ მზრუნველობას მოკლებულ პატარებზე — ხელმოკლე ოჯახების შვილებზე. ესენი არიან ჩვენი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი სახელოვანი მამულიშვილები: რესპუბლიკის ჯანმრთელობის მინისტრი **ირაკლი მენაღარიშვილი**, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გენერალური დირექტორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი **ზურაბ ქაშაკაშვილი**, მსოფლიოში სახელგანთქმული სპორტსმენი, გაერთიანება „ლელოს" გენერალური დირექტორი **რომან რურუა**, თბილისის მატყლის პირველადი გადამუშავების ფაბრიკის დირექტორი **გიორგი ბაგრატიონი**, ფირმა „ხეთის" გენერალური დირექტორი **ფარნა ზაქარაია**, თბილისის „დინამოს" უქსოვადი ქსოვილების ფაბრიკის დირექტორი **გივი ალხაზიშვილი**, ფირმა „კაქტუსის" პრეზიდენტი **დიდიმ სტურუა**, „საქსოფლმშენპროექტის" დირექტორი **ზურაბ ჩიტაიშვილი**, გამოჩენილი ქართველი იურისტი **შალვა რჩეულიშვილი**, თბილისის ჩაის გადამწონი ფაბრიკის დირექტორი **დავით გობეჯიშვილი**, სამრეწველო სავაჭრო ფირმა „საქსპორტლიქიორის" გენერალური დირექტორი **ჯემალ მესხი**, „თბილთამბაქოს" გენერალური დირექტორი **ელგუჯა ხუხუტიშვილი** და გენერალური დირექტორის მოადგილე **გელა ხანიშვილი**, სააქციო საზოგადოება „ვაზიანის" გენერალური დირექტორი **გივი ახვლედიანი** და არაერთი სხვა პატრიოტი ქველმოქმედი. მათ სახელებს და საქმიანობას მომავალში გავაცნობთ საზოგადოებას.

საქართველოს საბავშვო ფონდი დიდ იმედებს ამყარებს იმ ქველმოქმედ ადამიანებზე, რომლებმაც არაერთგზის დაამტკიცეს დედასაქართველოს ერთგულება, სიყვარული, მამულიშვილობა. მათ შორის პირველ რიგში ვგულისხმობთ ბატონებს **ლევან თედიაშვილს, ამირან ქადაგიშვილს, ბადრი ნინუას, კოხა ჯიბლაშვილს, გოდერძი ბუკიას, ნოდარ მოსულიშვილს, სოსო ბაჩიაშვილს, თამაზ ჩხაკუაშვილს...**

განსაკუთრებული პატივისცემით უნდა აღინიშნოს ქალაქ თბილისის მერის **კოტე გაბაშვილის** და ქალაქ ქუთაისის მერის **თეიმურაზ შაშიაშვილის** თანადგომა და მხარდაჭერა ამ საშვილიშვილო საქმეში.

არ გვეეჭვება, კიდევ უფრო გაიზრდება იმ კეთილ ადამიანთა რიცხვი, რომელნიც მთელი გულით განიცდიან ობოლი და მშობლიურ მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მწარე ბედს. სწორედ ამ ბავშვების გულმოწყალე და უანგარო მოამაგეთა დასაფასებლად, მათდამი მადლიერების გრძნობის გამოსახატავად, შევქმენით **საქართველოს საბავშვო ფონდის ოქროს წიგნი**, რომელშიც მართლაც ოქროს ასოებით ჩაიწერება ყოველი საქველმოქმედო ორგანიზაციის სახელწოდება, ყოველი ქველმოქმედი ადამიანის სახელი და გვარი, აღინუსხება უმცირესი წვლილიც კი, რითაც დაეხმარებიან პატარა თვისტომებს ეს ორგანიზაციები და პიროვნებანი.

ჩვენ ვთხოვთ ყველას, ვისაც კი ხელეწიფება თავისი წვლილი, დიდი თუ მცირე, შეიტანოს საბავშვო ფონდის და მისი რეგიონალური, საქალაქო, რაიონული განყოფილებების საქმიანობაში. განსაკუთრებით ვთხოვთ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მოღვაწე ბიზნესმენებს, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, საქმიან მამულიშვილებს, რომლებიც ყველაზე უკეთ ხედავენ თავიანთ პატარა თვისტომთა შეჭირვებას, უფრო ხშირად გაიხსენონ **საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდი** (თბილისი, ლერმონტოვის ქ. № 8).

აი მისი რეკვიზიტები: საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდი, საქართველოს ბინსოცბანკი, ანგ. № 000700516, მფო 521017.

ხუტა ბერულავა,
საქართველოს აკაკი წერეთლის სახელობის საბავშვო ფონდის თავმჯდომარე.

ქართულმა შურმა გაიღვიძა,

ანუ მოკლე პასუხი ჩვენს ოპონენტებს

სამწუხაროა, რომ ჩამოყალიბების პროცესში კერძო სტრუქტურებს, ([illegible] მსგავსად, წინააღმდეგობითა და ცილისწამებით ხვდებიან. ამის ბრწყინვალე მაგალითია გახლავთ ფირმა „გზა მშვიდობისას" დისკრედიტაციის მიზნით გაზეთებში „რეზონანსში", „7-დღეში" და „ახალგაზრდა ივერიელში" დაბეჭდილი სტატიები „10 დოლარი და „გზა მშვიდობისა" (სამივე სტატიის ავტორია სესო სოშორიშვილი). ფირმა „გზა მშვიდობისა" გახლავთ საქართველო-გერმანიის ერთობლივი ძალებით ავტომანქანების ახალი სანომრე ნიშნების დამამზადებელი ორგანიზაცია, რომელმაც ეს საქმე დიდი ძალისხმევის შედეგად შეძლო.

საქმე ის არის, რომ ფირმა „გზა მშვიდობისას" წარმომადგენლები მესამე წელია მუშაობენ საქართველოსთვის ავტომანქანების სანომრე ნიშნების დამზადებაზე, რომლებიც მსოფლიო სტანდარტების მიხედვით იქნებოდა გაკეთებული. გერმანიის ფირმებთან „ტიონესთან", „უჩთან" და ფირმა „ბოისთან" მუშაობის შედეგად მოხერხდა რესპუბლიკაში საუკეთესო დანადგარების ჩამოტანა და დამონტაჟება. ამ გერმანული ფირმების საშუალებით მსოფლიოს დაახლოებით 70 ქვეყანაში მზადდება ავტომანქანის სანომრე ნიშნები, თვით ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებშიც — უნგრეთში, პოლონეთში, ბალტიის სახელმწიფოებში, აზერბაიჯანში, რუსეთში. საკითხავია, აღნიშნულ გაზეთებში გამოქვეყნებულ სტატიის ავტორსა და ბულგარეთის ფირმა „კომექსის" წარმომადგენლებს რატომ უნდათ ქართველ მოსახლეობას თავს მოახვიონ ბულგარელების მიერ დამზადებული უხარისხო ნომრები? ცნობილია, რომ ბულგარეთი მსოფლიოს თითქმის არც ერთი ქვეყნისათვის, გარდა თავად ბულგარეთისა, არ ამზადებს ავტომობილების ნომრებს, საკითხავია, რატომ უნდა ჩამორჩეს ავტომანქანების ქართული ნომერი თავისი ხარისხით ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, ან თუნდაც მსოფლიოს სხვა ქვეყნების ნომრებს? და კიდევ, ფირმა „კომექსის" და მისი დამცველების მტკიცება, თითქოს ალუმინის ნომერი მალე ფუჭდება, უსაფუძვლოა, რადგან ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ავტომანქანების ნომრები სწორედ ალუმინისგან [არის] დამზადებული. ალუმინის ფირფიტაზე გადაკრულია თეთრი რეფლექტორებიანი ფოლიე, რომელიც დაფარულია არა შავი საღებავით, არამედ თერმული კოპირების მეთოდით. იგი კი ჩვეულებრივ საღებავზე 8-ჯერ უფრო გამძლეა.

რაც შეეხება მათზე აღნიშნულ აბრევიატურას „GEO", რაზეც ოპონენტები პრეტენზიებს გვიყენებენ, იგი მისაღებია, რადგან ინტერნაციონალური აბრევიატურების გათვალისწინებით მრავალ ქვეყანას აქვს სამასოიანი სიმბოლიკა.

რაც შეეხება ფირმა „კომექსის" განცხადებას აბრევიატურის გადატანა ნომერზე მიუღებელიაო, ეს ამ ფირმის წარმომადგენლების არაკომპეტენტურობაზე მეტყველებს. უნგრეთის, პოლონეთის, ლატვიის, გაერთიანებული ევროპის ქვეყნების საავტომობილო ნომრები სწორედ ამგვარი აბრევიატურითაა გალამაზებული.

ფირმა „კომექსი" აცხადებს, რომ მათი სამანქანე ნომრები 8 დოლარი ეღირება. მართალია, ფირმა „გზა მშვიდობისას" მიერ დამზადებული ნომრის ფასი 8,6 დოლარია, რომელსაც ქვეყნის ბიუჯეტში გადასახადები 14 პროცენტი ემატება, მაგრამ ჩვენს წარმომადგენლებსაც ჰქონდათ რეალური შანსი 8-დოლარიანზე იაფი ნომერი დაემზადებინათ ოპონენტების მსგავსად: კუსტარული მეთოდებით, და არა მოწინავე ტექნოლოგიით. თუმცა რად არ გააკეთეს ასე? იმიტომ, რომ ინგლისელებისა არ იყოს, „მე არც ისეთი მდიდარი ვარ, რომ იაფი პროდუქტი შევიძინო", მგონი არც ჩვენ უნდა ვიყოთ მეტისმეტი მდიდრები, რომ ყოველ წელს მანქანაზე ახალი ნომრები დავაყენოთ. სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიის ავტორს სესო სოშორიშვილს არ აღმოაჩნდა ობიექტურობა, რომ ჩვენთანაც მოსულიყო, სრულყოფილად შეესწავლა საქმე და შემდეგომ მიემართა საზოგადოებისთვის.

ფირმა „გზა მშვიდობისას" გამგეობა.

ეკო

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგამომცემლო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
ტელეფონი — 34-78-45.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА